ГИДРОХИМИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ВОДОЕМОВ ГРУЗИНСКОЙ ССР. СИОНСКОЕ ВОДОХРАНИЛИЩЕ И РЕКА ИОРИ

(Резюме)

В 1966-67 гг. изучено содержание и сезонное изменение макро-, микро- и биогенных элементов, а также некоторых органических веществ в воде р. Иори и Сионского водохранилища.

Исследуемые водоемы в основном принадлежат ко второму типу слабоминерализованных вод ($M_{\text{сред.}} = 215 \text{ мг/л}$) гидрокарбонатного класса группы кальция.

Среднее содержание некоторых микро- и биогенных элементов составляет (в мкг/л-ах): В—47, Br—5,3, J—8,0, Cu^{2+} —5,6, Pb^{2+} —5,7, Zn^{2+} —5,8, Mo^{VI} —1,0, $\text{Fe}_{\text{общ.}}$ —180, $\text{N}_{\text{неорг.}}$ —370, $\text{N}_{\text{орг.}}$ —150, $\text{P}_{\text{неорг.}}$ —7, $\text{P}_{\text{орг.}}$ —6.

Установлены некоторые закономерности изменения химического состава воды Сионского водохранилища в пространстве и во времени.

თავდაცვითი პირობითი რეფლექსის გამოხუავება პარის კულტურა

ა. ბრეჩაძე, მ. ახმეტელი

ჩვენი მიზანი იყო პირობითი რეფლექსის გამომუშავების მსვლელობის შესწავლა ანტროგენეზში. თავდაცვითი რეაქციების აღზრდის თავისებურებათა გარევა მნიშვნელოვანია შედარებითი ქცევათმეცნიერებისათვის. ამ მიზნით შესწავლის საგნად ავირჩიეთ კატის ახლადდაბადებული კნუტები.

კატის კნუტებზე თავდაცვითი რეფლექსის გამომუშავებას ვიწყებდით დაბადებიდან მეორე-მესამე დღეს; მათ ვათაგებდით სპეციალურ ხის გალიაში, რომლის ზომა იყო 30 სმ × 30 სმ. პირობით გამლიზიანებლად ვხმარობდით ფუნჯის შეხებას მარჯვნა უკანა ბარძაყზე. უბირობო გამლიზიანებლად კი წინა მარჯვნა თაოს ელექტროდენით გალიზიანებას; ვალიზიანებდით ქალაქის დენით, რომელიც რეასტატით იყო შესუსტებული. ვიწყევდით თანადროულ პირობით რეფლექსს: პირობით გამლიზიანებელს უბირობოს უულებდით მე-3"-ზე. თითოეულ ცდათა შორის, თუ არ ექნებოდა ადგილი ხელშემშელელ პირობებს (მაგ. კნუტების მოძრაობა), ვიცავდით 2—3 ინტერვალს. ახლადდაბადებული კნუტებისათვის ერთგვარად ბუნებრივი პირობების შესაქმნელად გალის ძირსა და კედლებზე ბამბა იყო დაფენილი და ამასთანავე გალის ძირზე დადებული იყო სათბურა, რომელშაც თბილი წყალი იყო ჩასმული.

პირველად ცდისათვის აყვანილი გვყავდა 4 კნუტი. ამასთან 3-ზე (№ 1, № 3 და № 4) ვაწარმოებდით პირობითი რეფლექსის გამომუშავების სისტემატურ ცდებს და ერთი კი (№ 2) აყვანილი გვყავდა საკონტროლოდ, მასზე დროდადრო ესინჯავდით ბარძაყზე მხოლოდ ფუნჯის შეხებას, რათა შეგვემოწმებინა თავისთავად ფუნჯით გალიზიანება ხომ არ გამოიწვევდა იმ რეაქციებს, რასაც სხვა კნუტებზე ელდენთან შეუღლებული ფუნჯის შეხება იწვევდა. შემდეგ ავიყვანეთ სამი კნუტი. ამათგან ორს (№ 6 და № 7) ვუმუშავებდით პირობით რეფლექსს და ერთი (№ 5) იყო აყვანილი საკონტროლოდ.

კნუტებზე პირობითი რეფლექსის გამომუშავების მსვლელობას გნუტავლობდით დახსლოებით ერთი თვის განმავლობაში. პირველ წყება კნუტებზე კი მუშაობა იქნა ჩატარებული მხოლოდ შვიდი დღის განმავლობაში, ვინაიდან ისინი ავადგანენ და დაიღუპნენ.

ანტროგენეზში პირობითი რეფლექსის გამომუშავების შესწავლის შემდეგ ჩვენ გვაინტერესებდა მოზრდას კნუტებზე მტკივნეულ გალიზიანებაზე თავდაცვითი პირობითი რეფლექსის გამომუშავების ბუნების შესწავლა. გვინდოდა შეგვემოწ-



მებინა ის შედეგები, რომელიც ჩვენ მიერ იყო მიღებული ძალებსა და ზღვის გოჭებზე პირობითი რეფლექსის მიმართ. სახელდობრ, აღნიშნულ ცხოველებზე ჩვენ ვნახეთ, რომ თავდაცვითი პირობითი რეფლექსი განიცდის დასუსტებას და სრულ მოსპობას პირობითი გამოიზინებლის უპირობო, მტკიცნეულ გამოიზიანებელთან მუდმივ შეულლების შემთხვევაში და რომ იგი, პირიქით, მტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ პირობით გამოიზიანებელს უპირობო გამოიზიანებელი (ერდენი) უულლება არა მუდმივად, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი არ რეაგირებს პირობით გამოიზიანებელზე [1; 2].

კნუტებზე თავდაცვითი პირობითი რეფლექსის გამომუშავება

ერთი დედის ოთხი კნუტი აყვანილი იქნა დაბალების მეორე დონეს ვე. დაიბადნენ 1949 წ. 1 ნოემბერი. მუშაობა დავიწყეთ მათზე 2 ნოემბრიდან. უპირველესად გამოწმებდით კნუტის სხეულზე ფუნქცით შეხება თავისთვალი ხომ არ იწვევდა დაცვითი ან საერთო მოძრაობის რეაქციებს. ამ მხრივ ყველა კნუტი იქნა შესწავლილი და გამოირკვა, რომ ყველაზე უფრო მგრძნობიარე არა მათთვის სახის მიდამო (პირის ნაპრალის ირგვლივ) და სხეულის სხვა შიშველი ნაწილები (თითების მიღამო). დანარჩენ ადგილებში შეხება რეაქციას არ იწვევდა. საკონტროლოდ აყვანილ კნუტზე ყოველდღე გამოწმებდით ბარძაყის მგრძნობელობას. ვრწმუნდებოდით, რომ ფუნქცის შეხება თავისთვალი არ იწვევდა თაოს მოხრას ან სხვა რამე ზოგად რეაქციას. ამიტომ, საცდელ ცხოველებზე პირობით გამოიზიანებლად აფილეთ უკანა კიდურზე—ბარძაყზე ფუნქცით შეხება.

მუშაობის პირველ დღეს არც ერთ კნუტზე არ გამოჩნდა ფუნქცის შეხებაზე პირობითი რეაქცია. მეორე დღეს, რამდენიმე შეულლების შემდეგ № 1 კნუტს გამოაჩნდა პირობითი რეაქცია ხუთჯერ: №-15, №-17, №-18, №-20 და №-21-ე ცდაში. ეს რეაქციები იყო მეტისმეტად ზოგადი; კნუტი ფუნქცით შეხებაზე ერთგვარად ზოგად ამოძრავებასა და წკმუტუნს იწყებდა. თავის საორიენტაციო მოძრაობას აყვებოდა წინა და უკანა მარჯვნა თაოს მოძრაობა. ასევე № 3 და № 4 კნუტებზედაც, ხოლო № 3-ზე № 11 ცდიდან 4 იყო პირობითი რეაქციით და № 4-ზე № 8 ცდიდან მხოლოდ 2, მესამე დღეს № 1-ზე ექვსი ცდიდან 1-ზე იყო პირობითი რეაქცია, № 3-ზე ათიდან—4-ზე და, რაც მთავარია, პირველ და მეორე ცდებში, ე. ი. წინა დღის გამომუშავებული პირობითი რეფლექსი გადავიდა მეორე დღეზედაც, ასევე № 4-ზედაც. მუშაობის №-4-დან № 1-ზე № 10 ცდიდან 3-ზე იყო პირობითი რეაქცია; № 3-ზე № 10 ცდიდან 7-ზე და ისევ პირველსავე ცდიდან ზედიზედ 6 ცდაში (1, 2, 3, 4, 5, 6); № 4-ზე № 10 ცდიდან 5 იყო რეაქციით და აქაც პირველ ცდებიდანვე (1, 2, 3, 7, 9 ცდებში).

ამის შემდეგ სამი დღე გამოვუშვით და შემდეგ განვახლეთ მუშაობა. აღმოჩნდა, რომ პირობითი რეფლექსი ყველა კნუტზე ისევე გამოსამუშავებელი შეიქმნა, 5—6 ცდიდან პირობითი რეაქცია მოგვცეს მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ. მეორე და მესამე დღეს იმატა დადებითმა რეაქციამ. ამის შემდეგ აღნიშნული კნუტები დაიღუპნენ.


შემდეგ აყვანილი იქნა სამი ახლი კნუტი: № 5, № 6 და № 7; ამათგან № 5—როგორც საკონტროლო. აღნიშნული კნუტები დაბადნენ 17/II—1950 წ. მათზე მუშაობა დავიწყეთ მესამე დღეს, ე. ი. 19/II-ს. მუშაობის პირველ დღეს

პირობითი რეფლექსი არც ერთ კნუტს არ გამოაჩნდა. მეორე დღეს 8 ცდაში გამოვლინდა პირობითი რეფლექსი მხოლოდ ერთხელ. მესამე დღეს კი ორივე კნუტზე ათ-ათი ცდიდან 6-ჯერ იყო დადგებითი რეაქცია და ისიც პირველი ცდიდან. შემდეგ დღეებში ხან მატულობს დადგებითი რეაქცია, ხან მცირდება, მაგრამ საერთოდ ეტყობა მატება; მუშაობის მეორე კვირის შემდეგ კი პირობითი რეფლექსს მატების ნაცვლად ეტყობა შემცირება. მაგალითად, კნუტი № 6 პირველი კვირის 57 ცდიდან იძლევა პირობით რეაქციას თექვსმეტჯერ (რეაქცერ მხოლოდ ზოგადი—საორიენტაციო და 8-ჯერ თათის მოხრის რეაქცია). კნუტი № 7—58 ცდიდან პირობითი რეაქციას იძლევა ცხრამეტჯერ. მეორე კვირას კნუტი № 6—52 ცდიდან პირობითი რეაქციას იძლევა 27-ჯერ, კნუტი № 7 კი—60 ცდიდან პირობითი რეაქციას იძლევა 30-ჯერ. მესამე კვირას კნუტ № 6 ჩაუტარდა 60 ცდა; აქედან პირობითი რეაქცია იყო მხოლოდ 22-ზე; № 7-მა 58 ცდიდან პირობითი რეაქცია შოგვეა თხუთმეტჯერ; შემდეგ კვირას № 6 კნუტმა 60 ცდიდან პირობითი რეაქცია მოგვცა მხოლოდ 15-ზე და № 7-მა 62 ცდიდან მხოლოდ 13-ჯერ (იხ. დიაგრამა № 1, სადაც პირობითი რეაქციების გამომუშავების მსვლელობა მოცემულია %%-ში).

დიაგრამა № 1. თავდაცვითი პირობითი რეაქციების გამომუშავების მსვლელობა ახლადდაბადებულ კნუტებზე ექვსდღიურების მიხედვით. A—კნუტი № 6; B—კნუტი № 7; I, II, III, IV—ექვსდღიურები. პირობითი რეაქციები მოცემულია %%-ში.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, კნუტებზე თავდაცვითი პირობითი რეფლექსის გამოვლინება კი არ მატუ-

ლობს, არამედ კლებულობს. მიღებული შედეგებიდან ჩანს აგრეთვე, რომ კანის მექანიკურ გალიზიანებაზე პირობითი რეფლექსი უმუშავდებათ უკვე 2—3 დღის კატის კნუტებს მუშაობის მეორე-მესამე დღიდან, თუმცა იგი ძლიერ მერყევი ხასიათისა—ხან არის, ხან არა. ძალის ლეველზე პირობითი რეფლექსის გამომუშავება თოთურიას (3) მონაცემებით შესაძლო შეიქნა მხოლოდ 12-დღანზე და მეორე დღეს კი გადავიდა მხოლოდ 30 დღიან ლეველზე. ჩვენ შემთხვევაში 3—4 დღის კატის კნუტზე პირობითი რეაქციის მიღება შესაძლოა პირობადებული იყო იმ გარემოებით, რომ ჩვენ ამ ასაკის კნუტებზე, განსხვავებით თოთურიასაგან, პირობით გამლიზიანებლად ვებმარიბლით ბუნებრივ გამლიზიანებელს—ბარძაყზე შეხებით კანის გალიზიანებას, რაც გაცილებით ძლიერი გამლიზიანებელია ცხოველი-სათვის (და ისიც ახლადდაბადებულისათვის), ვიდრე ხელოვნური პირობითი გამლიზიანებელი—ბგერა. ამასთანავე ცნობილია, რომ მხედველობის გამორჩვა (რასაც იდგილი აქვს ახლადდაბადებულ კნუტებში) აპირობადებს ტაქტილური მცრაობელობის გაზრდას [4].




ნახ. 7.

მუშაობის გაგრძელებით კნუტებზე პირობითი რეფლექსის გამოყიდვის წარმატების ნაცვლად მისი შემცირება ხდება, მაგრამ ეს მოვლენა არ უნდა იყოს ღამოკიდებული ონტოგნეზში, სახელდობრ, კნუტებზე პირობითი რეფლექსის გამომუშავების თავისებურებასთან, არამედ მსგავსი უნდა იყოს იმ მოვლენისა, რაც ჩვენ მიერ იყო შესწავლილი თავდაცვითი პირობითი რეაქციების გამომუშავებისას ძალებსა და ზღვის გოჭებზე [1, 2]. ამ მოსაზრების შესამოწმებლად განვიზრახეთ ჩავვეტარებინა მსგავსივე ცდები (მტკიგნეულზე პირობითი თავდაცვის რეაქციის გამომუშავება) მოზრდილ კნუტებზე დისტანციურ (სინათლე, ბგერა) გამოიზიანებლებზე.

**თავდაცვითი პირობითი რეფლექსის გამომუშავება
ბგერასა და სინათლეზე**

მას შემდეგ, რაც №6 და №7 კნუტებზე შესწავლილი იქნა პირობითი თავდაცვითი რეაქციის კანს მექანიკურ გალიზიანებაზე გამომუშავების მსვლელობა, შეეუდებით ამავე კნუტებზე ახალი პირობითი რეფლექსის ღისტანტური რეცეპტორებიდან გამომუშავებას. სახელდობრ, № 6 კნუტზე დავიწყეთ პირნბოსტელის ტონგარიატორიდან H-ბგერის (ჩვენა 70) წინა მარჯვნა თათის მტკიგნეულ გალიზიანებასთან შეულლება და № 7 კნუტზე კი 40 სანთლიან ელნათურის ანთების დაკავშირება იმავე თათის ელდენით გალიზიანებასთან. აღნიშნული კნუტები ამ მუშაობის დაწყებისას იყვნენ უკვე ერთი თვისა და 5 დღის. მუშაობა დავიწყეთ 23/III და დავამთავრეთ 26/IV. როგორც № 6, ისე № 7 კატას პირობითი რეაქცია უმთავრესად ზოგადი მოძრაობის სახით პირველსავე დღეს ბოლო ცდებში გამოუმუშავდათ. რეაქცია მეორე დღეზედაც გადადის. პირობითი რეფლექსის გამოვლინება პირველ დღეებში თითქმის მატულობს, მაგრამ არა იშვიათია შემთხვევები შემცირებულად გამოვლინებისა. ღაახლოებით 12—14 დღის მუშაობის შემდეგ კი ნათლად ემჩნევა ორივე კნუტის პირობითი რეაქციების გამოვლინებას შემცირება და, კერძოდ, კნუტ № 7-ზე პირობითი რეაქციები მესამე კვირის დასასრულისავენ და მეოთხე კვირის დასაწყისში ძლიერ შემცირდა. არ უშველა არც



ვევები შემცირებულად გამოვლინებისა. ღაახლოებით 12—14 დღის მუშაობის შემდეგ კი ნათლად ემჩნევა ორივე კნუტის პირობითი რეაქციების გამოვლინებას შემცირება და, კერძოდ, კნუტ № 7-ზე პირობითი რეაქციები მესამე კვირის დასასრულისავენ და მეოთხე კვირის დასაწყისში ძლიერ შემცირდა. არ უშველა არც



რამდენიმე დღით დასვენებამ, თუმცა წინა დღეებში დასვენების შემდეგ უფრო ხშირად ვლინდებოდა ხოლმე. ამრიგად გამომუშავებული რეაქცია მუდმივი შეულ-ლების ფონზე კნინდება (იხ. დაგრამა № 2—A).

დიაგრამა № 2, თავდაცვითი პირობითი რეაქციის გამომუშავების მსვლელობა მოზრდილ (№ 6) კნუტზე ყოველ ექვსდღიურის მიხედვით — ძირითადად მტკივ-ნეულთან მუდმივი შეულლებისა და პირობითი რეაგირობის შემთხვევაში არშე-ულლებისას. A—ძირითადთან მუდმივ შეულლებისას. B—პირობითი რეაგირების შე-მთხვევაში ძირითადთან არ შეულლებისას, I, II, III, IV—ექვსდღიურები. პირობითი რეაქციები მოცემულია % %-ში.

პირობითი გამლიზიანებლის უპირობო (მტკივნეულ) გამლიზიანებელთან
არამუდმივი შეულლებით პირობითი რეფლექსის
გამომუშავება-განმტკიცების მსვლელობა

როგორც ცნობილია, პირობითი რეფლექსების მეშვეობით უპირობო რეფ-ლექსებთან ერთად ცხოველი აწარმოებს შეგუებას მუდამ ცვალებად გარემოსთან. ცვალებად გარემოსთან შეგუების აქტის განხორციელებისას პავლოვის [5] მიხედვით „...წონასწორობის პირველი უზრუნველყოფა და მაშისადამე, მთლიანობა ცალკეული ორგანიზმისა, როგორც მისი სახეობისა, წარმოებს უპირობო რეფლექსებით... მაგრამ ამ რეფლექსებით მიღწეული წონასწორობა სრულყოფილი იქნებოდა გა-რემოს აბსოლუტური მუდმივობის შემთხვევაში. მაგრამ, რადგანაც გარემო თავის მეტისმეტ სხვადასხვაობასთან ერთად მუდმივ ცვალებადობაში იმყოფება, უპირო-ბო კაშირები, როგორც მუდმივი კაშირები, არაა საკმარისი და საჭიროა მათი შევსება პირობითი რეფლექსებით, ღროებით კავშირებით“.

ამრიგად, პავლოვი პირობითი რეფლექსს ცხოველის არსებობისათვის ბრძო-ლაში ანიჭებს დიდ ბიოლოგიურ მნიშვნელობას. პირობითი გამლიზიანებელი წარ-მოადგენს წინასწარ მაუწყებელს, სიგნალს მისთვის სასიცოცხლო მოვლენის შესა-ხებ. ამ სიგნალის შემწეობით მას შეუძლია რეაგირება მანამდე, ვიდრე ეს მოვლე-ნა მას უშუალოდ შეეხება. თუ რაიმე მიზეზით პირობითმა გამლიზიანებელმა და-კარგა სიგნალის მნიშვნელობა და ის ვეღარ უზრუნველყოფს ცხოველის სასიცო-ცხლო ინტერესების დაცვას, მაშინ ასეთი პირობითი რეფლექსი ისპობა, ქრება. „თუ სიგნალები, პირობითი გამლიზიანებელი განმეორებით არ არის თანხლებული მისი, ასე ვთქვათ, უპირობო—საქმიანი გამლიზიანებელით, იგი, როგორც ორგა-ნიზმისათვის საზარალო, ენერგიის ხარჯის ტყუილად გამომწვევი, ... კარგავს თა-ვის ფიზიოლოგიურ მოქმედებას“ [6].

ჩვეულებრივ, თავდაცვითი რეფლექსის გამომუშავებისას პირობით გამლიზია-ნებელს, მსგავსად კვებითი რეაქციის გამომუშავებისა, მუდამ ვაულლებთ უპირო-ბოსთან: ვაულლებთ როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი პირობით გამ-ლიზიანებელზე არ რეაგირებს, ისე მაშინაც, როდესაც ის მასზე რეაგირებს. ცხა-დია ასეთ შემთხვევაში პირობითი გამლიზიანებელი ვერ გახდება ცხოველისათვის ამა თუ იმ მოვლენის მაუწყებლად, ვერ მიღებს მისთვის სიგნალის მნიშვნელობას. მისი შემწეობით ცხოველი ვერ აწარმოებს უკეთესად, ვიდრე უპირობო რეფლექ-სით, გარემოსთან შეგუებას, ვინაიდან პირობით გამლიზიანებელზე რეაქციის მო-ცემა მას არ უზრუნველყოფს მტკივნეულ გამლიზიანებისაგან. ამიტომ, თავდაცვითი რეფლექსების განმტკიცებისას, რათა პირობით გამლიზიანებელს არ დაეკარგოს.



თავისი ბიოლოგიური მნიშვნელობა ცხოველის შეგუებითი მოქმედებისას, ჩვენ იგი არ უნდა შეცალოთ უპირობოსთან იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი მასზე იძლევა თავდაცვით რეაციას. ასეთი მიღვომით ჩვენ შევძლით თავდაცვითი პი-რობითი რეფლექსის განმტკიცება ძალიებსა და ზღვის გოჭებზე [1, 2]. ამავე მიღვომით განვიზრახეთ კნუტებზე მერყევი თავდაცვითი რეფლექსების განმტკიცება.

ამ მიზნით განვაგრძეთ მუშაობა № 6 და № 7 ქნუტებზე. ამ ღრისს მათი ასაკი უდრიდა 2 თვესა და 5 დღეს. წინა ცდების საფუძველზე მტკვენეულ შეუღლებათ რიცხვი № 6 ქნუტზე უდრიდა 246 და № 7-ზე 256-ს. პირობით გამლიზანებლად № 6 კატაზე იყო ისევ შ ბგერა ტონკარიატონრიდან და № 7-ზე კი ელნათურის გრძათება.

პირობით გაღიზანებაზე რეაქციის მოცემის შემთხვევაში უპირობო გამლი-ზანებლის შეუუღლებლობის პირველსავე დღიდანვე პირობითი თავდაცვითი რეაქ-ციები აღდგა ორივე კატაზე და თითქმის ყოველდღიურად იწყო მატება და № 6 კნუტზე მე-10 დღეს პირობითი რეაქცია ვლინდებოდა ყოველ ცდაში, ე. ი. პირო-ბითი რეაქცია იყო 100%-ით. ამის შემდეგ ორივე კნუტზე ხშირად 80—100% რეაქციები და, რაც მთავარია, ეს მატება პირობითი რეაქციების გამოვლინებისა კი არ მცირდება, როგორც ამას ჰქონდა აღვილი მუდმივ შეუუღლებათა შემთხვევა-ში, არამედ კიდევ უფრო სტაბილური ხდება (იხ. დიაგრამა № 2—B). კნუტ № 6-ს 30 დღის განმავლობაში ჩავუტარეთ სულ 313 ცდა; აქედან უპირობო გა-ლიზინებასთან შეუუღლება საჭირო გახდა მხოლოდ 38 ცდაში, 275 ცდა, ე. ი. 88% ცდებისა ჩატარდა შეუუღლების გარეშე.

აღნიშვნულ მონაცემთა დასაღასტურებლად ავიყანეთ კიდევ ახალი, დახს-ლოებით, $2\frac{1}{2}$ თვის კნუტი № 8. მასზედაც გამოვიმუშავეთ იმავე სახის თავდაც-ვითი რეაქცია ბევრა H-ზე, როგორც წინა კნუტ № 6-ზე. პირობით გამოიზია-ნების უპირობოსთან სისტემატიური შეულლებისას პირობით გამოიზიანებელზე რეაქციების არმოცემის შემდეგ, მასზედაც ვიწყეთ რეაგირების შემთხვევაში არ-შეულლება. შეორე დღიდანვე შივილეთ პირობით გამოიზიანებელზე რეაქციათა მატება.

საერთო სურათი, შემდეგ, 15 დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობისა ასეთია: 15 ცდაში პირობითი ოფიციალური თოხ დღეს თორმეტ-თორმეტჯერაა, ორ დღეს ცამეტ-ცამეტჯერ; ხუთ დღეს თოთხმეტ-თოთხმეტჯერ და ოთხ დღეს თხუთ-მეტ-თხუთმეტჯერ.

ამრიგად, ჩვენი ცდებით დასტურდება, რომ თავდაცვითი პირობითი რეაქ-
ციების დიდი მერყეობა კატის კრუტებში მარტო იმის გამო კი არ უნდა ყოფი-
ლიყო, რომ ისინი ონტოვენეზის დბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, არამედ პი-
რობითი გამლიზანებლის მიერ სიგნალური თვისების დაკარგვის გამოც.

ცლა ამ მოვლენის ფიზიოლოგიურ მექანიზმებში გარკვევისა ერთეულთ ჩვენ-
თაგანის მიერ მოცემულია შრომაში [1].

1. კანის მექანიკურ გალიზიანებაზე უკვე 3—4-დღის კატის კნუტებზე ვლინდება უმეტესად ზოგადი ხასიათის თავდაცვითი რეაქცია. ეს პირობითი რეაქცია თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მეორე დღეზედაც გადადის, მაგრამ საერთოდ



Образование оборонительных условных реакций у котят

ძლიერ მეტყველა — ხან არის, ხან არა. ამასთანვე, დაახლოებით 10—12 დღის მუშაობის შემდეგ ეს პირობითი რეაქცია იწყებს შესუსტებას და უფრო იშვიათად გამოვლინებას.

2. 1 და $2\frac{1}{2}$ თვეის კნუტებზე თავდაცვითი პირობითი ორეფლექსი ბეგრასა და სინათლეზე მუშავდება უმეტესად ზოგადი ხასიათის პირველ დღესვე, მაგრამ ვლინდება იგრეთვე არასისტემატურად. 12—15 დღის შემდეგ მუშაობის გაგრძელება პირობითი ორეფლექსის განმტკიცების მაგიტრალ მის შესუსტებას იწყებს.

3. კატის კნუტებზე, მსგაცსად ძალებისა და ზღვის გოჭებისა, თავდაცვითი პირობითი რეფლექსი უფრო მტკიცდება, უფრო სისტემატურ ხასიათს ღებულობს მაშინ, როცა პირობით გამოიზიანებელს მტკიცნეული გამოიზიანებელი უუღლდება არა შუღლივად, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი ან რეაგირებს პირობით გამოიზიანებელზე.

(წარმოდგენილია 20. XI. 1968)

აღამიანისა და ცხოველთა
ფიზიოლოგიის კათედრა

ମୂର୍ତ୍ତିବଳାତିଶୀଳ

1. А. Брегадзе, Труды Ин-та физиол. АН ГССР, т. 9, 1953, стр. 43.
 2. ი. ბრეგაძე, მ. ახმეტელი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტის შრომები, ტ. 9, 1953, გვ. 70.
 3. შ. ოთფურია, თბილისის უნივერსიტეტის მოაშჩე, ტ. 10, 1929, გვ. 253.
 4. I. Zubek, I. Flye, M. Aftanas, Scince, vol. 144, № 3626, 1964, p. 1591.
 5. И. А. Павлов, Полное собрание трудов, т. 3, М.-Л., 1949.
 6. И. А. Павлов, Лекции о работе больших полушарий головного мозга, Госиздат, М., 1937.

А. Н. БРЕГАДЗЕ. М. К. АХМЕТЕЛИ

ОБРАЗОВАНИЕ ОБОРОНИТЕЛЬНЫХ УСЛОВНЫХ РЕАКЦИЙ У КОТЯТ

(Резюме)

Изучалась оборонительная реакция у новорожденных котят. Условным раздражителем служило прикосновение кисточкой к бедру, а безусловным — электрическое раздражение передней лапы. Опыты ставились на котятах со второго дня рождения.

Оборонительную условную реакцию на механическое раздражение кожи бедра, в виде общих движений, удалось получить на второй-третий день работы, т. е. у трёх четырёхдневных котят. Эта условная реакция у некоторых котят сохранялась на второй день, но вообще она была весьма неустойчива. Приблизительно через две недели, вместо укрепления, рефлекс, наоборот, стал ослабевать (см. диаграмму № 1).

На 1 и $2\frac{1}{2}$ месячных котятах оборонительная реакция на искусственное раздражение (звук, свет) была выработана в виде общего движения с первого же дня работы. В дальнейшем реакция стала локальной (поднятие раздражаемой лапы). Но продолжение работы с пелью укрепления



условной реакции привело, наоборот, к её ослаблению (см. диаграмму № 2-А). Поэтому, для укрепления реакции мы перестали применять постоянное сочетание условного раздражения с безусловным; сочетали условное с безусловным лишь в тех случаях, когда животное не производило двигательной реакции на сигнал. Следовательно, животное благодаря условному раздражению имело возможность устраниить болевое раздражение, и условное раздражение могло приобрести сигнальное, биологическое значение в его приспособительной деятельности. Таким образом, нам удалось установить, как это имело место у собак [1], быстрое укрепление у котят условной оборонительной реакции (см. диаграмму № 2-В).



ზოგიერთ ბალახოვან მცენარეთა გადაზამთრების ხასიათი თანამდებობის მიზანობის ნაშალებები

პ. გიორგაძე

ბალახოვანი მცენარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზამთრის პერიოდში ნაშალი მასის დამაგრებაში. ამიტომ დაკვირვება ვაწარმოეთ ზოგიერთ ბალახოვან მცენარეთა გადაზამთრებაზე ნაშალ აღვილებში. დაკვირვებას ვხდენდით თელეთის ქედზე (სოლანლულის ხიდთან), მდ. ვერესა და მისი მარცხნა შენაკად ცხენიჭამია ხევში 1961 წლის შემოდგომიდან 1964 წლის გაზაფხულამდე.

რაუნკიერმა [1] მცენარეთა გადაზამთრების თავისებურებანი, კერძოდ განახლების კვირტების გაყინვისა და გამოშრობისაგან დაცვის ხასიათი, საფუძვლად დაუღო სასიცოცხლო ფორმათა სისტემას. უმაღლეს მცენარეებში იგი ხუთ ასეთ ტიპს გამოყოფს: 1. ფანეროფიტები, 2. ხამეფიტები, 3. ჰემიკრიპტოფიტები, 4. კრიპტოფიტები და 5. ტეროფიტები. ამ სისტემამ მრავალჯერ განიცადა შემდგომი დაზუსტება და დეტალიზაცია. მაგ. ლაპშინა [2, 3] რაუნკიერმის სისტემის თითოეულ ტიპში გამოყოფს ორ ჯგუფს: 1. მცენარეებს, რომლებიც იზამთრებენ კვირტებით და 2. მცენარეებს, რომლებიც იზამთრებენ მწვევ მდგომარეობაში.

სსრ კავშირში ბალახოვან მცენარეთა გადაზამთრების საკითხს იკვლევენ პოპოვი [4], კოშევნიკოვი [5, 6], სერებრიაკოვი [7], ვორონოვი [8], კოვაკინა [9] და სხვ.

საქართველოში აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი და დღემდე მხოლოდ ერთი შრომაა ცნობილი [10].

მცენარეთა გადაზამთრების სრული სურათის მისაღებად საჭიროა რიგ ფაქტორთა გათვალისწინება, როგორიცაა: თვის საშუალო ტემპერატურა, აბსოლუტური მაქსიმუმი, ნიადაგის ტემპერატურა სხვადასხვა სილრმეზე, ნალექების რაოდენობა, ქარის სიჩქარე და სხვა. რამდენადაც აღნიშნული ფაქტორები სხვადასხვა წელს თბილისის მიდამოებში რამდენადმე მაინც განსხვავებულია, ამდენად ბალახოვან მცენარეთა გადაზამთრების თავისებურებაც განსხვავებულია. მაგ. 1962 წლის ზამთარი თბილისის მიდამოებში ხასიათდებოდა ძლიერ მშრალი და თბილი კლიმატით, რამაც რიგ მცენარეთა არანორმალური განვითარება გამოიწვია. აღვილი ჰქონდა ზოგიერთი ფენოლოგიური ფაზის გამოვარდნას და ნააღრევ ყვავილობას. მაგ. Stipa caucasica-ზ 1961 წლის შემოდგომით განვითარებული ვეგეტაციური ნაწილებიდან 1962 წლის მარტის პირველ ნახევარში საყვავილე ღერო განივითარა ვეგეტაციის განახლების გარეშე (მდ. ვერეს ხეობაში).



თითქმის ასეთივე ზამთარი იყო 1962—63 წელსაც, იმ განსხვავდებული 1963 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის პირველ ნახევარში ტემპერატურა დაიწია და თოვლიც მოვიდა, მაგრამ ძლიერ ყინვებს ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ -3° — 4° -მდე (რამდენიმე დღე) დაეცა ტემპერატურა, რომელსაც მცენარეთა განვითარებაზე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია.

განსხვავდებული იყო 1964 წლის ზამთარი, რომელმაც თავისებური გავლენა მოახდინა რიგ ბალახოვან მცენარეთა გადაზამთრებაზე (დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები მოტანილია ქვემოთ).

ლიტერატურული მონაცემები და სხვადასხვა ადგილას 29 სახეობაზე სამი წლის განმავლობაში ჭარმოქმედული დაკვირვებანი გვიჩვენებს, რომ ბალახოვან მცენარეთა გადაზამთრების ხასიათი მრავალფეროვანია. ზოგიერთი ბალახოვანი მცენარე ნაღავის ზედაპირის ახლოს მდებარე კვირტებით ან საკმაოდ გაზრდილი ამონაყარით იზამთრებს, ხოლო ერთწლოვანი მცენარეების მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად განვითარებული როზეტითაც კი. შესწავლილ მცენარეთა დაჯგუფება მოვახდინეთ რაუნკიერის სისტემის მხედვით და ლაპშინას შესწორებით (ტეროფიტების შემთხვევაში).

ხმეფიტები: ამ მცენარის განახლების კვირტები მიწის ზედაპირიდან შედარებით მაღლაა და დაცულია ქერქლებით, თოვლითა და ნაწილობრივ მცვდარი საფარით.

ამ ტიპში შემავალი ბალახოვანი მცენარეებიდან დაკვირვებას ვაწარმოებდით *Dianthus orientalis*-ზე, რომელმაც 1961 წლის ოქტომბერში ღეროს კენტრული კვირტებიდან განივითარა მნიშვნელოვანი სიღიღის ფოთლები. ამ ფოთლებმა 1961—62 წლის ზამთარი ყოველგვარი დაზიანების გარეშე გადაიტანეს. 1962 წლის შემოდგომაზე განვითარებულმა ყლორტებმა 1963 წლის იანვარში ვეგეტაცია გააგრძელა, რომელთა ფოთლებმა 4—4,5 სმ-ს მიაღწია და მხოლოდ წევროები გაუჩხათ. იანვარ-თებერვალში განვითარებული ფოთლები მარტის დასაწყისში მოსული თოვლის შედეგად გაყვითლდა, მაგრამ არა ყველგან. მაგ. თელეთის ქედზე (სოლანლულის ხიდთან) აღმოსავლეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე და მდ. ვერეს ხეობაში, საღაც ჩრდილო-დასავლეთის ქარების პირდაპირ გავლენას ადგილი არ ჰქონია. 1964 წლის ზამთარი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სრულიად განსხვავებული იყო წინა ორი ზამთრისაგან (ზამთრის თვეების საშუალო ტემპერატურა 1962 წლის $7,1^{\circ}$, 1963 წლის $6,6$, 1964 წლის $3,2^{\circ}$ უდრიდა), რამაც თავისებურად იმოქმედა მრავალ მცენარეზე. 1963 წლის შემოდგომით განვითარებული ფოთლები *Dianthus orientalis*-ს მთლიანად მოიყინა, მაგრამ განახლების კვირტები მაინც ღია მდგომარეობაში დარჩა და დაუზიანებლად გააგრძელა ვეგეტაცია აღრე გაზაფხულზე. იმ ადგილებში კი, საღაც ჩრდილო დასავლეთის ქარის პირდაპირი გავლენა მცირე იყო, 1963 წლის შემოდგომთ განვითარებულმა ყლორტებმა მცირე დაზიანებით მწვანე მდგომარეობაში გადაიზამთრა როგორც თელეთის ქედზე (სოლანლულის ხიდთან) ისე მდ. ვერეს ხეობაში.

Artemisia fasciculata-მ, როგორც 1961 წლის, ისე 1962 წლის შემოდგომაზე განვითარა საქმაოდ დიდი ზომის ყლორტები, რომლებმაც ორივე ზამთარი ყოველგვარი დაზიანების გარეშე გადაიტანეს, ხოლო 1963 წლის შემოდგომაზე განვითარებული ფოთლები და ყლორტები 1964 წლის ზამთრის პერიოდში მთლიანად მოიყინა, უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთი-

საკენ მიქცეულ ფერდობებზე. მაგრამ განახლების კვირტები ნახევრად ღია მარეობაში დარჩება და ტემპერატურის ორნავ მომატებასთან ერთად ვევეტაცია გააგრძელა.

Scutellaria orientalis-მა 1961 და 1962 წლების შემოდგომით განვითარა ხშირფოთლიანი ყლორტები, რომელთა სიგრძემ 3—4 სმ მიაღწია და კვირტებმა ლია მდგომარეობაში გადაიზამთრა დაზიანების გარეშე. აღნიშნულ ფაქტზე მიუთითებს ს. კუტალაძე [10], 1963 წლის შემოდგომით განვითარებული ფოთლების უმრავლესობა (მხოლოდ თითო-ორიოლა შერჩა, ისიც ქარისაგან დაცულ ადგილებში) დაზიანდა 1964 წლის სუსტიანი ზამთრის გამო, მაგრამ განახლების კვირტები მაინც ლია მდგომარეობაში დარჩა და დაზიანების გარეშე გააგრძელეს ვევეტაცია ადრე გაზაფხულზე.

Thymus tiflensis-მა 1961 და 1962 წლების შემოდგომით ხშირფოთლიანი ყლორტები განვითარა, ამავე დროს შერჩენილი ჰქონდა ზაფხულის ვევეტაციის ფოთლები, რომლებმაც აღნიშნული წლების ზამთარი დაუზიანებლად გადაიტანა. 1963 წლის შემოდგომაზე განვითარებული ყლორტები და ფოთლები ნაწილობრივ დაზიანდა 1964 წლის ზამთრის პერიოდში (უმთავრესად მდ. ვერეს ხეობაში, სადაც ჩრდილო-დასავლეთის ქარის გავლენა ძლიერი იყო), მაგრამ განახლების კვირტებმა დაზიანების გარეშე ლია მდგომარეობაში გადაიზამთრა. ს. კუტალაძის [10] მონაცემებით, როცა ტემპერატურა -13°C -ს აღწევს, აღნიშნული მცენარის ფოთლები როგორც ზაფხულის ვევეტაციის, ისე მისი ნორჩი ნაწილებიც დაუზიანებელი რჩება.

Silene chlorifolia 1961 და 1962 წლების ზამთარში შემოდგომით განვითარებული ფოთლებით შევიდა და გადაიზამთრეს დაუზიანებლად, მაგრამ განახლების კვირტები კი ნახევრად დაცულ მდგომარეობაში ქონდათ. 1963 წლის შემოდგომით განვითარებული ფოთლები მთლიანად დაზიანდა 1964 წლის ზამთარში და განახლების კვირტებიც მთლიანად დახურული იყო.

Acantholimon lepturoides არა თუ 1961—62 და 1963 წლებში, არამედ 1964 წლის ზამთრის დროსაც კი არ დაზიანებულა შემოდგომით განვითარებული ყლორტები და ფოთლები. ყველა შემთხვევაში განახლების კვირტებმა ლია მდგომარეობაში გადაიზამთრეს.

აქედან გამომდინარე, როგორც ამას ს. კუტალაძე [10] აღნიშნავს, მცენარის ასეთ დიდ ყინვაგამძლეობის მთავარ და ძირითად პირობად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი ქსეროფილურ პირობებში იზრდება, რადგან მცენარის ქსოვილებში. წყლის რაოდენობის გადიდება მკვეთრად მოქმედებს მის ყინვაგამძლეობაზე.

ჰემიკრიპტოფიტები: ამ ტიპში ერთიანდება ისეთი მცენარეები, რომელთა განახლების კვირტები მდებარეობენ მიწის ღონიშვი და დაცული არაან ქერქლებით, მკვდარი საფარით და თოვლით.

რაუნკერის სასიცოცხლო ფორმის ამ ტიპში სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა რაოდენობის ჯგუფებს არჩევს. მაგ. ლაპშინა [2, 3] ორ ჯგუფს გამოყოფს, რომელთაგან ეთანხმება ს. კუტალაძე [10]. ვორონოვი [8] 5 ჯგუფს გამოყოფს, რომელთაგან ერთ-ერთი დამკორდებელი მარცვლოვნებისა და ისლებისთვისაა განკუთვნილი. ჩვენ ჰემიკრიპტოფიტებს განვიხილავთ რაუნკერის მიხედვით.

Alyssum tortuosum-მა 1961 და 1962 წლების ზამთარი ყოველგვარი დაზიანების გარეშე გადაიტანა შემოდგომის ვევეტაციის ფოთლებით და ღია



განახლების კვირტებით. რამდენიმე ცალი აყვავდა კიდეც 1962 წლის ჭელების თელეთის ქედზე (სოლანლულის ხიდთან) ქარისაგან დაცულ აღგილებში. 1964 წლის ზამთარში შემოდგომით განვითარებული ყლორტებით შევიდა, რომელთა დიდი რაოდენობა დაზიანდა (უმთავრესად ქარის ძლიერი გავლენის აღგილებში), ხოლო განახლების კვირტები ღია მდგომარეობაში დარჩა. დანარჩენ აღგილებში მათ დაზიანებას აღგილი არ ქონდა.

სრულიად ანალოგიურად გადაიზამთრა *Teucrium polium* და *Teucrium chamaedrys*-სა.

ასეთი მცენარეები როგორიცაა: *Onobrychis cyri*, *Poterium polygamum*, *Tunica saxifraga*, *Scrophularia rutaefolia*, *Carduus onopordiooides* და *Astrodaucus orientalis*-ზე სამი წლის დაკვირვების შედეგად არ შეგვინიშნავს მწვანე ყლორტებისა და ფოთლების რამე დაზიანება. განახლების კვირტები სრულიად ღია და არავითარ დაზიანებას არ განიცდის. მხოლოდ აქვე უნდა აღვინიშნოთ, როგორც ამას ს. კუტალაძე მიუთითებს [10], უმრავლესობა დასახლებული მცენარეებისა შემოდგომით როზეტებს იკეთებს, რომლის სულ ქვედა ფოთლები, რომლებიც ნიაღავის ზედაპირთან არიან ახლოს, ნიაღავის გაყინვის გამო ნაწილობრივ ზიანდება. ასეთი მოვლენა შევნიშნეთ 1964 წლის ზამთარში *Scrophularia rutaefolia*-სა და *Carduus onopordiooides*-ზე ვერეს ხეობაში, საღაც ტემპერატურულ შედარებით უფრო დაბალია, ვიღრე თელეთის ქედზე, რასაც თავისებური ოროგრაფიული შენება უწყობს ხელს.

ამ ჯგუფში შემავალი მცენარეები, როგორიცაა: *Asperula glomerata*, *Stachys atherocalyx*, *Alcea rugosa* და *Galium verum*, როგორც ცნობილია [10], ადგილად ზიანდება ყინვებით და იზამთრებს. მხოლოდ კვირტებით, დაცულია ნიაღავის თხელი ფენით ან გამხმარი ფოთლების ნარჩენებით. აღნიშნული, პირველი ორისაგან განსხვავებით *Galium verum* და *Stachys atherocalyx*-ს შემოდგომის ამნაყარის სახით აქვს განახლების კვირტები და დაცულია გასული წლის შემორჩენილი ლეროებით (აღნიშნავს იქვე). ჩევნ მიერ წარმოებული დაკვირვების შედეგად აღნიშნულმა ოთხივე მცენარემ 1962 და 1963 წლების ზამთარი გადაიტანს ყოველგვარი დაზიანების გარეშე შემოდგომით განვითარებული მცირეზომის ყლორტებით, ფოთლებით და კვირტების ღია მდგომარეობით.

1964 წლის ზამთარში, აღნიშნული მცენარეების 1963 წლის შემოდგომით განვითარებული ყველა ყლორტი და ფოთოლი მოიყინა. გაღაზამთრება მოხდა ფეხების ყელთან არსებული დაცული კვირტებით.

აღსანიშნავია *Euphorbia sequieriana*-ს გადაზამთრება, რომელიც ჩეველებრივ ნიაღავითა და მკვდარი საფარით დაცული კვირტებით იზამთრებს, მაგრამ 1962 და 1963 წლებში შემოდგომით განვითარებული პატარა ხშირფოთლიანი ყლორტებით გადაიზამთრა. 1964 წლის ზამთარში მისი ყველა ფოთოლი და ყლორტი დაზიანდა და მცენარემ ფეხების ყელთან არსებული დაცული კვირტებით გადაიზამთრა.

ტეროფიტები: რაუნკიერი [1] ამ ტიპში მხოლოდ ერთწლოვან მცენარეებს აერთიანებს, რომლებიც თესლებით იზამთრებენ. მისი სისტემის ეს ტიპი ერთგვარ დავას იწვევს მკვლევართა შორის, იმ გავებით, რომ ის ერთწლოვანი მცენარეები, რომლებიც მწვანე მდგომარეობაში იზამთრებენ, ლაპშინა [2, 3] და კუტალაძე [10] განიხილავს როგორც ტეროფიტებს და ცალკე ჯგუფში ათავსებენ, ხოლო

ვორონოვი [8] მათ აკუთხნებს ჰემიკრიპტოფიტებს. რადგან ეს უკანასკნელი გადაზიამთრების ტეროფიტების ტიპის კრიტერიუმის გავების არსილან, რომ ტეროფიტები იზამთრებენ მხოლოდ თესლებით.

რაუნქიერის სისტემის განხილვისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის ერთწლოვანი მცენარეები, რომლებიც ზამთრის პერიოდში ნაშალებზე მწვანე მდგომარეობაშია. ეს მცენარეები თავიანთი არსებობით ზამთრის პერიოდში მცი-რედ, მაგრამ მანც რამდენადმე ამაგრებენ ნაშალ მასას.

დაკვირვება გაწარმოეთ შემდეგ ერთწლოვან მცენარეებზე: *Melilotus albus*, *Sideritis montana*, *Senecio vernalis*, *Nonnea lutea*, *Callipeltis cucullaria*, *Erodium cicutarium*, *Pterotheca marschalliana*, *Papaver arenarium* და *Rapistrum rugosum* v. *gymnocarpum*.

ჩამოთვლილი მცენარეების თესლები ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე იწყებენ აღმოცენებას. ივნითარებენ მწვანე ყლორტებსა და ფოთლების როზეტებს. ყველა ამ მცენარეებმა, გარდა *Papaver arenarium*-ისა, 1962 და 1963 წლების ზამთარი დაუზიანებლად გადაიტანეს, ხოლო 1964 წლის ზამთრის პერიოდში მთლიანად დაიღუპა *Callipeltis cucullaria* და ზოგიერთი მცენარის (*Pterotheca marschalliana* და *Erodium cicutarium*) ნიადაგის ზედაპირთან ახლო მყოფი ფოთლები ნაწილობრივ დაზიანდა. დანარჩენმა მცენარეებმა დაუზიანებლად გადა-იზამთრა.

რაც შეეხება *Papaver arenarium*-ს, იგი მხოლოდ თესლით მოზამთრება და როგორც კუტალაძე [10] მიუთითებს, მარტ-აპრილში იწყებს ვეგეტაციას. 1961 წლის შემოდგომაზე შევამნიერ, რომ მან (თელეთის ქედზე) განივითარა როზეტი და 1962 წლის ზამთარი მწვანე მდგომარეობაში გადაიტანა, ხოლო აპრილის ბოლოს აყვავდა. რაც შეეხება 1962 და 1963 წლების შემოდგომებს, აღნიშნული მოვლენა არ განმეორებულია. ხოლო 1964 წლისათვის არა თუ შემოდგომით, არა-მედ გაზაფხულზეც არ აღმოცენებულა.

აღნიშნული ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ერთი და იგივე მცენარე სხვადასხვა წელს სხვადასხვანაირად რეაგირებს გარემო-პირობებზე.

ყველა ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ ერთი საერთო დასკვნა, რომ თბილისის მიღამოების ნაშალი ადგილებისათვის ერთიდა-იმავე ბალახოვან მცენარეთა გადაზიამთრების ხასიათი სხვადასხვა წელს სხვადა-სხვანაირა, რომელთა ფოთლებისა და ნორჩი ნაწილების დაზიანებას იწვევს არა იმდენად დაბალი ტემპერატურა, რამდენადაც მათი ქსოვილებიდან ქარის მიერ წყლის სწრაფი აორთქლება.

(ჭარმოჯვენილია 20. XI. 1969)

ბოტანიკის კათედრა

ლ 0 ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. G. Raunkiaer, The life forms of plants and statistical plant geography, Oxford, 1934.
2. Е. И. Лапшина, Тр. Петергофск. естеств.-научн. инст., т. 5, 1928.
3. Е. И. Лапшина, Природа, 2, 1952.
4. И. В. Попов, Тр. Воронежск. сель.-хоз. оп. станции, т. 5, 1920.
6. შრომები, ტ. 141



5. А. В. Кожевников, Бюл. МОИП, X, 1—2, 1931.
 6. А. В. Кожевников, Весна и осень в жизни растений, Изд. Московск. общ. испыт. природы, М., 1950.
 7. И. Г. Серебряков, Вестн. МГУ, сер. биол. т. 6, 1947.
 8. А. Г. Воронов. Ботанический журн., т. XXXIII, в. 2, 1952.
 9. В. А. Ковакина, Ботанический журн., 5, 1952.
 10. ს. კუთალიძე, საქ. სსრ მეცნ. კად. ბოტანიკურის ინსტიტუტის შრომები, ტ. 15, 1963.

საქართველო
მეცნიერებების
აკადემიის
ინსტიტუტის
შრომები

П. Г. ГИОРГАДЗЕ

ХАРАКТЕР ПЕРЕЗИМОВЫВАНИЯ НЕКОТОРЫХ ТРАВЯНИСТЫХ РАСТЕНИЙ ОКРЕСТНОСТЕЙ ТБИЛИСИ

(Р е з ю м е)

Наблюдения над перезимовкой некоторых травянистых растений осипных местообитаний проводились на Телетском хребте (у Соганлугского моста) и в ущелье р. Веры с осени 1961 года до весны 1964 года.

В результате наблюдений над зимованием 29 видов травянистых растений нами получены данные, указывающие на многообразие характера перезимовки растений. Часть многолетних травянистых растений зимует в виде почек, расположенных в почве у поверхности, или в виде довольно хорошо развитой поросли; что касается однолетних растений, то значительная часть их зимует в виде хорошо развитой розетки. Изученные нами растения мы разбили по группам, согласно системе Раункиера, с дополнениями Лапшиной (в случае терофитов). Повреждения листьев и молодых частей травянистых растений осипец окрестностей Тбилиси вызваны не столько низкой температурой, сколько интенсивным испарением воды из тканей растений под влиянием ветра.

სოიცა და პარადის ოცნებენეზში სუნთქვის ინტენსიურობის ცვლილება მიკროელემენტების გამოყენებისას

ე. გოგიალი

მიკროელემენტების ბიოლოგიური როლი მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანის სიცოცხლეში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამ პრობლემის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ მიკროელემენტები მონაწილეობენ ცოცხალის განვითარების მიმდინარე თითქმის ყველა ბიოქიმიურ პროცესში.

ბუნებაში გავრცელებულ მრავალ მიკროელემენტთაგან ყველა არ არის ჯერჯერობით საკმარისად შესწავლილი. ამასთან, სათანადოდ არ არის ცნობილი ცალკეული მიკროელემენტის ბიოლოგიური როლი, მცენარეებზე მათი ზემოქმედებით გამოწვეული სხვადასხვა სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობის თავისებურებანი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიკროელემენტების გავლენას სასოფლო-სამეურნეო კულტურების სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ამ მხრივ, შედარებით ნაკლებადაა გამოკვლეული მიკროელემენტების გავლენა სამარცვლე პარკოსან კულტურებზე. სწორედ ერთ-ერთ ასეთ საკითხს ეხება წინამდებარე ნაშრომი.

მიკროელემენტების ფიზიოლოგიური როლი, უპირველესად, ფერმენტებთანად კავშირებული. როგორც ცნობილია, ფერმენტები წარმოადგენენ მეტალორგანულ ნაერთებს—მეტალოპროტეინებს, რომელთა უმრავლესობის შემადგენელ ნაწილს მიკროელემენტები წარმოადგენს. გარდა ამისა, მიკროელემენტები შედის ისეთ მნიშვნელოვან ნაერთებში, როგორიცაა ვიტამინები, ჰორმონები და მონაწილეობს ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებში. მიკროელემენტების მეშვეობით ნივთიერებათა ცვლა უმჯობესდება. ისინი დადგებითად მოქმედებენ ცილისა და ნახშირწყლების წარმოქმნაზე და მათ გადაადგილებაზე ქსოვილებში.

ბევრი მათგანი აძლიერებს ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესებს [1, 2, 3, 4].

საკმარი დიდი ხნის მანძილზე თვლილნენ, რომ მინერალური ქვება არსებით ცვლილებას არ იწვევს მცენარეთა სუნთქვის პროცესში. უფრო გვიან გამოირკვა, რომ სხვადასხვა საკვები ელემენტის მიწოდების დონე, საკვები ხსნარის შედგენილობა, მასში შემაგალი ცალკეული კომპონენტის ურთიერთშეფარდება და სხვა, გავლენას ახდენს სუნთქვის პროცესზე და მასში მონაწილე უნგვა-ალდგენით ფერმენტებზე. აქედან გამომდინარე, დიდ ყურადღებას იმსახურებს მცენარეთა სუნთქვის პროცესის შესწავლა. სუნთქვის პროცესში ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა



მხარეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ შემცირდებოდა წარმოადგენენ. სუნთქვა ერთმანეთთან აკავშირებს ნახშირწყლოვან და აზოტის შემცელ ნაერთთა ცვლას. აგრეთვე, ნახშირწყლოვან და ცხიმოვან ცვლასაც. ამიტომ პიროვნულის მეურის გლიკოლიზაციი და შემცირდებოდა წარმოადგენენ შემცირდები პროდუქტები წარმოადგენენ ორგანული ნაერთების შექმნის მატერიალურ წყაროს.

ბიოსინთეზის გარდა ორგანიზმში მიმდინარეობს მთელი რიგი პროცესებისა, რომლებიც აგრეთვე საჭიროებენ ენერგიის მოხმარებას, სახელდობრ უჯრედის გამრავლების პროცესები, არაორგანული ნივთიერებების შთანთქმა, მცენარეთა მოძრაობები და სხვა. [5, 6, 7].

ჩვენს მიზანს შეაღენდა სუნთქვის ინტენსიურობა შეგვესწავლა მიკროელემნტებით (მოლიბდენი, სპილენძი, მანგანუმი) დამუშავებული თესლებიდან აღმოცენებულ მცენარეებში, განვითარების სხვადასხვა ფაზაში (ყვავილობისწინა, ყვავილობის, მწვენე პარკობის, სიმწიფის ფაზები), მცენარეების ფოთლებში, პარკობის დროს—პარკის კედელში და მწვანე თესლშიც, ხოლო მწიფე თესლის ფაზაში—მწიფე თესლში.

საცდელ ობიექტებად აღებული გვქონდა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პარკოსანი კულტურები დან სოია („მოწინავე 7“, „აღრეულა 6“) და ბარდა („რამონული 77“).

მცენარეების მიკროელემნტებით კვების სხვადასხვა ხერხიდან (ნიაღვში შეტანა, ფევერალურებეშვილი კვება, თესვისწინა დამუშავება) ჩვენ შევჩერდით თესლების თესვისწინა დამუშავებაზე. ლიტერატურიდან [8, 9, 10, 11] ცნობილია, რომ დამუშავების ეს წესი უფრო ეფექტურია და ამცირებს მიკროელემნტების დანახარჯებს ასეულჯერ. შეოლნიერისა [12] და ლემინისა [13] თანახმად, მიკროელემნტებით თესლის თესვისწინა დამუშავების მიზანია ნაადრევი ზემოქმედება ახალგაზრდა მოზარდ ორგანიზმზე, როდესაც იგი მეტად მგრძნობიარეა გარემო ზემოქმედების მიმართ. ორგანიზმი განსხვავდებულად რეაგირებს გარემო ზემოქმედებათა მიმართ თავისი სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში. მცენარის განვითარების ყველაზე აღრეული ფაზა—თესლების გაღივების ფაზაა და ამიტომაც გარემოს გავლენა ამ დროს უფრო ძლიერი უნდა იყოს.

სოიისა და ბარდის თესლის მიკროელემნტებით დასამუშავებლად გამოყენებული იყო მოლიბდენის, სპილენძის და მანგანუმის შემცელ მარილთა ხსნარები. სახელდო იბრ, მოლიბდენის ვიუნებდით მოლიბდენმეუვა ამონიუმის სახით 0,25 გ 1 ლ, სპილენძს—გოგირდმეუვა სპილენძის სახით 0,04 გ 1 ლ, მანგანუმს გოგირდმეუვა მანგანუმის სახით 0,5 გ 1 ლ.

აღნიშნული მიკროელემნტების ხსნარებით თესლის თესვისწინა დამუშავება თესვამდე 12 საათის განმავლობაში ხდებოდა, საკონტროლო თესლი თავსდებოდა გამოხდილ წყალში. თესლი მთლიანად იფარებოდა ხსნარებით და თანაბარი გაულენთვისათვის ხდებოდა რამდენჯერმე არევა.

საკვლევი მცენარეების თესლი დაითესა 4 გარიანტად: 1) საკონტროლო, 2) მოლიბდენით დამუშავებული, 3) სპილენძით დამუშავებული, 4) მანგანუმით დამუშავებული (თითოეული გარიანტი 4 განმეორებით; ყოველ განმეორებაში 2 მწკრივი). ყველა განმეორებიდან საკალიზოდ საშუალო სინქს ვიღებდით.

სუნთქვის ინტენსიურობა ისაზღვრებოდა მანომეტრული მეთოდის გამოყენებით (გარბურგის აპარატთ), რომელსაც გაზიარებული მეთოდის სხვა მეთოდებთან შედარებით, ბევრი უპირატესობა აქვს. მთავარი ის არის, რომ ამ მეთოდით მცენარის გაზიარების შესწავლა ხდება დინამიკაში. ამავე დროს, ეს მეთოდი მეტად მგრძნობიარება და შესაძლებლობას იძლევა, ვიმუშაოთ საკვლევი ობიექტების მცირე წონაკებით და, თანაც, მოვახდინოთ გაზიარების ცვლის რეგისტრაცია დროის ძალიან მოკლე მანძილზე [14].

ცდის პერიოდში სუნთქვა მიმღინარეობდა 30° -ის პირობებში; გაზიარებული ალირიცხებოდა 15—30 წუთის შუალედში; ცდის ხანგრძლივობა უდრიდა 1 საათს. სუნთქვის დროს შთანთქმული ყანგბადის რაოდენობის გამანგარიშება კუბურ სმ-ში ერთ გრამ შშრალ წონაზე, 1 საათის განმავლობაში, ხდებოდა უმბრეიტისა [15] და იგანვის [16] მიერ მოცემული ფორმულების მეშვეობით.

ბარდაზე მიკროელემენტების მოქმედებით მიღებული სუნთქვის ინტენსიურობის ცვლილებები მოყვანილია № 1 ცხრილში:

ცხრილი 1

სუნთქვის ინტენსიურობა ბარდის სხვადასხვა ნაწილში (ზლ 1 ს/გ მშრ. წ.)

გარიანტები	განვითარების ფაზები და მცენარის სხვა- დასხვა ნაწილი	რამონული 77				
		ყვავილო- ბის წინა	ყვავი- ლობა	მწვანე პარკი	სიმწიფე	
		ფოთო- ლი	ფოთო- ლი	პარკის კედე- ლი	მწვანე თესლი	
1. საკონტროლო	2,40	3,38	2,94	1,20	1,14	უმნიშვნელოა
2. მოლიბდენით დამუშავებული	3,18	4,00	3,02	2,28	2,99	
3. სპილენით დამუშავებული	3,30	4,52	3,16	3,02	3,00	
4. მანგანუმით დამუშავებული	2,97	3,00	2,46	1,24	2,44	

ცხრილიდან ჩანს, რომ მოლიბდენი საკონტროლო გარიანტთან შედარებით განვითარების ყველა ფაზაში, მცენარის სხვადასხვა ნაწილში ზრდის სუნთქვის ინტენსიურობას. ამასთან, ფოთლებში სუნთქვა უფრო გაძლიერებულია, ვიდრე პარკის კედლებში და ოქსლებში, ხოლო სიმწიფის ფაზაში იგი მეტად შემცირებულია. ყვავილობისწინა და ყვავილობის ფაზებში სუნთქვა ჭარბობს მწვანე პარკობასა და სიმწიფის ფაზაში მყოფ მცენარის სხვადასხვა ნაწილის სუნთქვის.

სპილენი, მოლიბდენთან და მანგანუმთან შედარებით, უფრო მკვეთრად ზრდის სუნთქვას. განვითარების პირველ ორ ფაზაში მისი მოქმედება უფრო თვალსაჩინოა, შემდეგ ფაზებში კი იყენებს. სპილენის მოქმედებით, განსაკუთრებით ფოთლებში, იზრდება სუნთქვა. სიმწიფის ფაზაში მყოფ ოქსლებში, ისევე, როგორც სხვა გარიანტებში, სუნთქვა მეტისმეტად შემცირებულია.

მანგანუმი, საკონტროლო გარიანტთან შედარებით, განვითარების ყველა ფაზაში არ ზრდის სუნთქვას. პირველი, ზოგან სუნთქვა შემცირებულიცაა (ყვავილობის და პარკობის ფაზების ფოთლებში), სიმწიფის ფაზაში სუნთქვა უმნიშვნელოა.



სოია „მოწინავე 7“-ზე მიკროელემენტების მოქმედებით მიღებული სუნთქვის ინტენსიურობის ცვლილებები მოყვანილია № 2 ცხრილში:

ცხრილი 2

სუნთქვის ინტენსიურობა სოიის სხვადასხვა ნაწილში (მლ 1 ს/გ შშ. წ.)

გარიანტები	განვითარების ფაზები და მცენარის სხვა- დასხვა ნაწილი	მთწინავე 7			
		ყვავილო- ბის წინა	ყვავი- ლობა	მწვანე პარკობა	სიმწილე
ფოთლები	ფოთ- ლები	პარკის კედელი	მწვანე თესლი	მწიფე თესლი	
1. საკონტროლო	3,38	4,02	3,28	2,20	1,62
2. მოლიბდენით დამუშავებული	3,90	4,29	3,30	2,76	1,99
3. სპილენძით დამუშავებული	3,96	2,42	3,52	3,00	1,97
4. მანგანუმით დამუშავებული	3,00	4,09	3,28	2,26	1,63

ცხრილიდან ჩანს, რომ გამოყენებული მიკროელემენტებით დამუშავებული თესლებიდან აღმოცენებული მცენარის ყველა შესწავლით ნაწილში სუნთქვის ინტენსიურობა მაღალია დაუმუშავებელთან შედარებით. ამასთან, ფოთლებში სუნთქვის ინტენსიურობის მომატება უფრო მკეთრია, ვიდრე მწვანე პარკის კედლებში და თესლებში. მიკროელემენტები სუნთქვას ყველაზე უფრო აძლიერებენ ყვავილობის წინა და ყვავილობის ფაზებში.

ჩვენი მონაცემები ეთანხმება ლიტერატურაში არსებულ ცნობებს [17, 18], რომელთა თანახმად, სხვადასხვა მიკროელემენტი განსხვავებულად მოქმედებს ამათუ იმ მცენარის სუნთქვაზე.

განვიხილოთ იმავე მიკროელემენტების მოქმედება „აღრეულა 6“ ჯიშის სუნთქვის ინტენსიურობაზე (ცხრილი № 3).

ცხრილი 3

სუნთქვის ინტენსიურობა სოიის სხვადასხვა ნაწილში (მლ 1 ს/გ შშ. წ.)

გარიანტები	განვითარების ფაზები და მცენარის სხვა- დასხვა ნაწილი	აღრეულა 6			
		ყვავილო- ბის წინა	ყვავი- ლობა	მწვანე პარკობა	სიმწილე
ფოთლები	ფოთ- ლები	პარკის კედელი	მწვანე თესლი	მწიფე თესლი	
1. საკონტროლო	3,28	3,98	4,00	3,44	2,14
2. მოლიბდენით დამუშავებული	3,86	4,69	4,32	3,87	2,00
3. სპილენძით დამუშავებული	4,00	4,94	4,60	3,90	2,15
4. მანგანუმით დამუშავებული	3,62	4,70	3,88	3,82	1,94

ცხრილიდან ჩანს, რომ მოლიბდენი განვითარების ყველა ფაზაში, მცენარის ყველა ნაწილში ზრდის სუნთქვის ინტენსიურობას საკონტროლო გარიანტთან შედარებით. თუ სოია „მოწინავე 7“-ში განვითარების პირველ ორ ფაზაში სუნთქვა

მომატებული იყო სხვა ფაზებთან შედარებით, სოია „ადრეულა 6“-ში უფრო ძლიერი ტებულია ყვავილობის ფაზაში და პარკობის ფაზის ფოთლებში. მწვანე თესლში სუნთქვის ინტენსიურობა მცირდება, ხოლო მწიფე თესლის ფაზაში უმნიშვნელოა, მსგავსად „მოწინავე 7“-ისა.

სპილენძის ვარიანტში სუნთქვის ინტენსიურობა უფრო ძლიერია სხვა ფაზებთან შედარებით, იგი ძლიერია ყვავილობისწინა, ყვავილობის და მწვანე პარკობის ფაზებში. სიმწიფის ფაზაში იგი მკვეთრად ეცდება. რაც შეეხება მცენარის ნაწილებს, ფოთლებში და პარკის კედელში სუნთქვა უფრო ინტენსიურია, თესლში—მცირება.

მანგანუმი საკონტროლო ვარიანტთან შედარებით ძლიერებს სუნთქვას შემდევნირად: ყვავილობისწინა ფაზაში ზრდის სუნთქვას 0,34-ით, ყვავილობის ფაზაში—0,82-ით, მწვანე პარკობის ფაზაში კი ფოთლები ამცირებს სუნთქვას 0,12-ით; პარკის კედელში ძლიერებს 0,38-ით, ხოლო თესლში—0,20-ით; სიმწიფის ფაზაში სუნთქვის ინტენსიურობა მკვეთრად იკლებს.

„ადრეულა 6“ თავის განვითარების ციკლს იწყებს და ამთავრებს უფრო ადრე, ვიდრე „მოწინავე 7“. აქედან გამომდინარე, მათი განვითარების ფაზები არ ემთხვევა ერთმანეთს: სოია „მოწინავე 7“ პარკობის ფაზაში იმყოფება მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში, სოია „ადრეულა 6“ ამ პერიოდში ამთავრებს განვითარების აღნიშნულ ფაზას. მისი განვითარების პარკობის ფაზა ემთხვევა მცენარისათვის სასურველ გარემო პირობების კომპლექსს, რაც იწვევს მცენარეში ნივთიერებათა ცვლის აქტიურ მიმღინარებას, შესაბამისდ—ენერგიის ხარჯვასაც.

რაც შეეხება განვითარების სხვა ფაზას, როგორც „მოწინავე 7“, ისე „ადრეულა 6“ დაახლოებით ერთნაირ გარემო პირობებში იმყოფებოდნენ, მაგრამ მიუხედავდ ამისა, „ადრეულა 6“-ის სუნთქვა მაინც სჭრბობდა „მოწინავე 7“-ის სუნთქვას.

ეს მაგალითი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სოია „ადრეულა 6“-ის ინტენსიური სუნთქვა განვითარების ფაზების მიხედვით, დაკავშირებულია არას მისი განვითარების ციკლთან, არამედ ერთი და იმავე მცენარის სხვადასხვა ჯიშის ფიზიოლოგიურ თავისებურებებთან.

სუნთქვის ინტენსიურობა იცვლება მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. მცენარის შესწავლით ნაწილებში იგი ყველაზე უფრო ინტენსიურია ყვავილობისწინა და ყვავილობის ფაზებში, სადაც აღგილი აქვს გაძლიერებულ ნივთიერებათა ცვლას, ფორმათა წარმოქმნის და სინთეზურ პროცესებს, რაც კავშირშია ენერგიის ხარჯვასთან. სუნთქვა უფრო ნაკლებად ინტენსიურია პარკობის ფაზაში, ხოლო მწიფე თესლის ფაზაში, როდესაც ყველა ბიოქიმიური პროცესი მინიმალურ დონემდეა დასული, სუნთქვის ინტენსიურობაც მეტისმეტად შეცვლებულია.

მხედვებლობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სუნთქვის პროცესი ხორციელდება ფერმენტული სისტემების მეშვეობით, მათი მოქმედების არე კი პროტოპლაზმა ფერმენტული სისტემების მეშვეობით შეიცავს უჯრედები პროტოპლაზმას, მით მაა, რაც უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს უჯრედები პროტოპლაზმას, მით უფრო ინტენსიურად სუნთქვავნ ისინი. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა უჯრედებისაგან შემდგარი ქსოვილი, მაღალი სუნთქვის ინტენსიურობით ხასიათდება, დებისაგან შემდგარი ქსოვილი, მაღალი სუნთქვის ინტენსიურობით ხასიათდება, ხოლო ხნიერი უჯრედებისაგან შემდგარი ქსოვილი, სადაც ვაკუულუბის, გარსის ხასიათდება და ჩანართების წარმოქმნის ხარჯზე პროტოპლაზმა მცირდება,—დაბალი სუნთქვით.



სუნთქვის ინტენსიურობა დამოკიდებულია მცენარის საერთო ასაკზე: ახალგაზრდა მცენარე ხასიათდება მაღლი სუნთქვით; მისი ონტოგენეზური განვითარების პროცესში ასაკის მომატებასთან ერთად, მცირდება სუნთქვის ინტენსიურობაც. ამიტომ ყვავილობისწინა და ყვავილობის ფაზა, როდესაც მცენარე შედარებით უფრო ახალგაზრდა ასაკშია, ყველაზე უფრო მაღალი სუნთქვის ინტენსიურობის ფაზაა.

ცნობილია, რომ მაღალი სუნთქვის ინტენსიურობით ხასიათდება ის ქსოვილები, რომელიც ასრულებენ აქტიურ ფიზიოლოგიურ ფუნქციებს, ხოლო ის ორგანოები, რომელთათვისაც დამახასიათებელია დაბალი ცხოველმოქმედება, ხასიათდებან სუსტი სუნთქვით. ასეთია მოსვენების პერიოდში მყოფი გენერაციული ორგანოები და, განსაკუთრებით, მომწიფებული თესლები, რომელთა სუნთქვაც რამდენიმე ათასჯერ უფრო დაბალია ფოთლების სუნთქვასთან შედარებით [7]. ჩვენ მიერ შესწავლილი ნაწილებიდან სუნთქვა ყველაზე უფრო ინტენსიურია ფოთლებში, შემდეგ პარკის კედლებში და ბოლოს—თესლებში.

ჩვენ მიერ გამოყენებული მიკროელემენტები განსხვავებულად მოქმედებენ. სუნთქვის ინტენსიურობის ზრდაზე. სუნთქვას ყველაზე უფრო ააქტიურებს სპილენძი, შემდეგ—მოლიბდენი და ბოლოს—მანგანუმი.

სხვადასხვა მცენარე ხასიათდება განსხვავებული სუნთქვის ინტენსიურობით, ხოლო მიკროელემენტები ამ პროცესს საგრძნობლად ცვლიან. ჩვენ მიერ განხილული მცენარეებიდან სოია უფრო მაღალი სუნთქვის ინტენსიურობით ხასიათდება, ვიდრე ბარდა; ხოლო სოიის ორი ჭიშის ერთმანეთთან შედარებისას აღმნიდა, რომ „ადრეულა“ 6-ის სუნთქვა სჭარბობს „მოწინავე 7“-ის სუნთქვას.

(ჟარმოდგენილია 10. III. 1970)

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათეგრა

ლ 0 ტ 0 რ 0 ტ 0 რ 0

1. Л. К. Островская, Х. Н. Починок, Б. Л. Дорохов, Сб. „Проблемы фотосинтеза“, М., 1959.
2. Л. К. Островская, Физиологическая роль меди и пути устранения медной недостаточности у растений, докт. дисс., 1961.
3. В. А. Кульчева и А. Г. Сергеева, Микроэлементы в растениеводстве, Куйбышев, 1965.
4. В. Джеймс, Дыхание растений, ИЛ, М., 1956.
5. Б. А. Рубин, М. Е. Ладыгина, Энзимология и биология дыхания растений, „Высшая школа“, Москва, 1966,
6. М. Я. Школьник, Сб. „Физиология сельскохозяйственных растений“, Изд. Московского университета, т. 2, 1967, стр. 128—210.
7. Ю. Е. Новицкая, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве и медицине“, Изд. АН Латв. ССР, Рига, 1956, стр. 247—254.
8. М. Н. Хорошкин, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность почв“ Изд. Ростовского университета, 1962.
9. К. Е. Цхакая, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность“, ч. 2, Петрозаводск, 1965, стр. 13—14.
10. Т. Н. Погодина, И. Л. Никифорова, Уч. зап. Петрозаводского университета, т. 12, в. 3, 1964, стр. 1—14.
11. М. Я. Школьник, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве“, Рига, 1956, стр. 23—40.

12. А. В. Лешина, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность“, ч. 3, Петрозаводск, 1965, стр. 163—164.
13. В. Л. Вознесенский, О. В. Заленский, О. А. Семиханова, Методы исследования фотосинтеза и дыхания растений, Наука, М.-Л., 1965.
14. А. Умбрейт, Р. Бурис, Д. Штауфер, Манометрические методы изучения тканевого обмена, ИЛ, М., 1951.
15. Н. Н. Иванов, Методы физиологии и биохимии растений, Сельхозгиз, М.-Л., 1946.
16. Е. О. Шаталова-Зелесская, Уч. зап. Харьковского университета, тр. Ин-та биолог. и биол. фак., т. 30, 1961.
17. Г. С. Олимпиенко, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность“, ч. 3, 1965, стр. 177—178.

Е. В. ГОКИЕЛИ

ИЗМЕНЕНИЕ ИНТЕНСИВНОСТИ ДЫХАНИЯ В ОНТОГЕНЕЗЕ СОИ И ГОРОХА ПРИ ПРИМЕНЕНИИ МИКРОЭЛЕМЕНТОВ

(Резюме)

Предпосевная обработка семян микроэлементами (молибден, медь, марганец) бобовых культур (соя, горох) вызывает изменение интенсивности дыхания. Микроэлементы повышают интенсивность дыхания в зависимости от возраста как самого растения, так и его частей. Молодые части растения дышат интенсивно. С возрастом интенсивность их дыхания уменьшается. В онтогенезе меняется интенсивность дыхания. В фазах начала цветения и цветения, когда растение сравнительно молодое, интенсивность дыхания гораздо больше, чем в последующих фазах. В листьях, где протекают активные физиологические процессы, интенсивность дыхания больше, чем в стенках бобов и в спелых семенах. Микроэлементы — молибден, медь и марганец — различно повышают интенсивность дыхания у сои и гороха.



საქართველოს ველებისა და ნახევრადუდაბნოების
ზონის დროებითი უცალსაშენების ზოოპლანეტონი

ლ. კუტუბიძე

საქართველოში ყველგან მეტნაკლები რაოდენობით ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ღროებით წყალსატევებს, რომლებიც ზოოპლანეტონური ორგანიზმების სისტემატიკური შედგენილობის და მათი სიცოცხლის პირობების თვალსაზრისით შესწავლილი არ არიან.

როგორც ცნობილია, ღროებითი წყალსატევების ბინადარნი გამოირჩევა თვითმიმდევრულობის სპეციფიკით, რაც განპირობებულია ამ წყალსატევების სიცოცხლის პირობების თავისებურებით. წყალსატევების ღროებითობა, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა სანგრძლიობით იქნას წარმოდგენილი, როგორც ჩანს ზოგი ჰიდრობიონტისათვის არ წარმოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას. მათი გარევეული ნაწილი ეგუება ასეთ პირობებს, ვითარდებიან, თაობებს იძლევიან და არსებობს განაგრძობენ.

ღროებითი წყალსატევების ბინადართა შეგუებულობა ძირითადად წარმართულია განვითარების პერიოდის შემცირებისაკენ და ნაყოფიერების ზრდისაკენ. ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ საქართველოს ველებისა და ნახევრადუდაბნოების დროებითი წყალსატევების პელაგური ფორმების ნორმალური განვითარებისათვის ხელოვნურ პირობებში აუცილებელია დაბალი ტემპერატურის წინასწარი ზემოქმედება. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი ბუნებრივ პირობებში განვითარების დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე იმყოფებიან ასეთივე დაბალი ტემპერატურის გარეშე. როგორც ჩანს, ეს ორგანიზმები ეგუებიან დაბალ ტემპერატურას სანგრძლივი პერიოდის მანძილზე და ეს ფაქტორი შემდეგ მათი განვითარების სასიცოცხლო პირობად იქცევა.

სასუქების შეტანა ნიადაგში განაპირობებს საერთო აზოტის და ცილოვანი აზოტის რაოდენობის მატებას მარცვალში. აღნიშვნული ნივთიერებების მატება განსაკუთრებით გამოიწვია სამი მინერალური სასუქის კომბინირებამ ($N_{40} P_{90} K_{45} + N_{20}$) და ორგანული სასუქის კომბინირებამ სრულ მინერალურ სასუქთან ($20 \text{ ტონა } N_{20} P_{45} K_{25} + N_{20}$).

ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან ირკვევა, რომ აზოტოვან ნივთიერებათა შემცველობა იცვლება მარცვლის მომწიფებასთან ერთად. საერთო და ცილოვანი აზოტის რაოდენობა იცლებს მარცვლის ოდოშლერობაში, ხოლო სრულ სიმწიფეში მისი რაოდენობა კვლავ იზრდება, თუმცა რძეჩამდგარი სიმწიფის მარცვლის რაოდენობას ვერ უტოლდება.

მარცვლის ცილინდრობისა და მარცვლის ცილის მოსავლიანობის თვალსაზრისით საუკეთესო ეფექტი მოგვცა სრული მინერალური სასუქის ($N_{40} P_{90} K_{45} + N_{20}$), ორგანულთან სრული მინერალური სასუქის კომბინირებამ ($20 \text{ ტონა } N_{20} P_{45} K_{25} + N_{20}$), აზოტ-ფოსფორიანი სასუქის ($N_{40} P_{90} + N_{20}$) და აზოტიანი სასუქის ($N_{40} + N_{20}$) ფონზე გაზრდილმა ხორბლის მარცვალმა.

(წარმოდგენილია 10.XI.68)

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. К. А. Тимирязев, Избранные сочинения, Сельхозгиз, т. II, 1948.
2. Д. Н. Прянишников, Избранные сочинения, Изд. АН СССР, т. I, 1951.
3. გ. ა ბ ე ს ა ძ ე, ბ უ რ ე უ ლ ი და ს მ ა რ ც ვ ლ ე ბ ა რ ც ვ ლ ა ნ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი, თბ., 1953.
4. В. В. Буткевич, Агробиология, З, 1954, стр. 44-45.
5. В. И. Лукянюк, Пшеница в СССР, М.—Л., 1957.
6. М. М. Стрельникова, С. А. Вертий, Вестник с/х наук, З, 1964, стр. 26—30.
7. П. А. Власюк, З. Н. Климоцкая, Докл. ВАСХНИЛ, 1, 1955, стр. 3—8.
8. И. В. Мосолов, А. В. Панова, Селекция и семеноводство, 10, 1952, стр. 46—54.
9. М. Е. Пронин, Земледелие, 2, 1961, стр. 55—51.
10. Н. Н. Иванов, Биохимия культурных растений, Сельхозгиз, т. 8, 1948.
11. Т. Синг, К. Лэмб, Сельское хозяйство за рубежом, 1, 1962, стр. 15—16.
12. Н. С. Петинов, Физиология орошаемой пшеницы, Изд. АН СССР, 1959.
13. გ. გ ა რ ა მ ა ძ ე, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ს ა ვ ლ ო - ს ა მ ე უ რ ნ ე თ ი ნ ს ტ უ რ ე ბ ი, თბ., ტ. 24, 1954, გვ. 13—24.
14. А. В. Владимиров, Физиологические основы применения азотистых и калий-ных удобрений, Сельхозгиз, 1948.
15. В. В. Пиневич, ДАН СССР, т. 87, З, 1952, стр. 501—504.
16. А. Ермаков, В. Арасимович и др., Методы биохимического исследования растений, Сельхозгиз, 1952.
17. ა. ს ა რ ი ჭ ვ ი ლ ი, ა. გ ე ნ ა ლ ი რ ი შ ვ ი ლ ი, ბ. გ ე რ ა ს ი ვ თ ვ ი ა, ა გ რ ი ქ ი მ ი მ ი ს პ რ ა ქ ტ ი კ უ მ ი, ს ა ს - ს ა მ ი, ი ნ ს ტ ი გ ა მ ბ ა, 1956.
18. С. А. Каспарова и П. Г. Усова, ДАН СССР, т. 60, 8, 1948, стр. 1363—1370.
19. С. М. Соколова, Бюллетень Гл. бот. сада, в. 44, 1961, стр. 58—62.
20. Е. В. Колобкова, ДАН СССР, т. 120, 4, 1958, стр. 907—910.
21. Н. Ф. Тюменцев, Роль удобрений в полеводстве нечерноземной полосы Западной Сибири, автореферат, 1962.

М. А. НАДИРАДЗЕ

ВЛИЯНИЕ УДОБРЕНИЙ НА СОДЕРЖАНИЕ УГЛЕВОДОВ И АЗОТИСТЫХ ВЕЩЕСТВ В ЗЕРНЕ ПШЕНИЦЫ

(Р е з ю м е)

Изучена динамика углеводов и азотистых веществ в зерне пшеницы „Кахи 8“, выращенной на фоне различных минеральных и органических удобрений. Опыты проводились в 10-ти вариантах на Грузинской селекционной станции в Натахтари.

Проведенное исследование показало, что под влиянием минеральных удобрений возрастает содержание крахмала в зерне подопытной пшеницы во всех фазах спелости зерна (молочной, восковой и полной). Особенно наглядно увеличение указанных веществ по сравнению с контрольным на фоне фосфорных (P_{90}) и фосфорно-калийных ($P_{90} K_{45}$) удобрений, а также на фоне полного минерального удобрения ($N_{40} P_{90} K_{45} + N_{20}$). Содержание крахмала в зерне уменьшается в растениях, выращенных на фоне азотных ($N_{40} + N_{20}$) и органического с минеральным ($N_{20} P_{45} K_{25} +$ зеленое удобрение) удобрений. Значительных изменений в содержании сахаров в зерне пшеницы по фазам спелости под влиянием удобрений не произошло.

Под влиянием удобрений значительно изменилось содержание азотистых веществ. Особенно возросло содержание общего и белкового азота и белка во всех изученных фазах спелости зерна при комбинировании трех форм минеральных удобрений ($N_{40} P_{90} K_{45} + N_{20}$) и внесении в почву органического удобрения совместно с минеральными (20 т. навоза + $N_{20} P_{45} K_{25} + N_{20}$). Увеличение в зерне содержания вышеуказанных азотистых веществ имело место также и в некоторых других других вариантах опыта ($N_{40} + N_{20}$, $N_{40} P_{90} + N_{20}$, $N_{40} K_{45} + N_{20} N_{20} P_{45} K_{25} +$ зеленое удобрение).

ბორითა და მოლიგდენით თასლის თასვისუნია დამუშავების
გავლენა სოის მოსავალზე, აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაზე
და ცხირის უადვილობებაზე

6. ԵՐԵՎԱՆԸ

მიკროელემნტები, კერძოდ ბორი და მოლიბდენი, მნიშვნელოვან ბიოლოგიურ ზემოქმედებას ამჟღავნებენ კულტურულ მცენარეებზე და განსაკუთრებით ნაყოფის (ან თესლის) მომცემ მცენარეებზე. ორივე ელემენტი ააქტიურებს რა რიგ სასიცოცხლო ფიზიოლოგიურ პროცესებს მცენარის ორგანიზმში, ხელს უწყობს მის ნორმალურ ზრდა-განვითარებასა და მაღალ პროდუქტულობას, მიკროელემნტების გავლენით იცვლება მცენარეში ნახშირწყლოვან და ცილოვან ნივთიერებათა ცვლა [1, 2], მატულობს ფოტოსინთეზის ინტენსიურობა და ნახშირბადის შეფასება, ძლიერდება სინთეზისა და გადადენის პროცესები, იზრდება ნივთიერებათა ცვლის პლასტიკური და სპეციფიკური ნივთიერებების გამოყენება [3], ამტკიცება სინთეზური და დამუანგველი ფერმენტები [4].

მიკროელემენტების დაფეხითი გავლენა აღნიშნულია კარტოფილის [5], შავრის ჭარხლის [6], თმბაქოს [7], იონგის [8], ბარდის [9, 10], წითელი სამყურას ჭარხლის [11], სიმინდის [12], ბამბის [13] და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალზე. უძარებით ნაკლებადაა შესწავლილი მიკროელემენტების გავლენა სამარცვლო პარკონებზე [9, 10], მათ შორის სოიაზე [14].

ჩევნ შევისწავლეთ მიკროლემენტების გავლენა სიის მოსახლზე და ნივთიერებათა ცვლაზე. მიკროლემენტებიდან შევარჩიეთ ბორი და მოლიბდენი, რაღაც ლიტერატურული მონაცემები მიუთითებს ამ ელემენტების პარკოსნებზე მეტად დიდ ეფექტურობაზე [3, 10, 15]. მიკროლემენტებით მცენარის კვების სხვადასხვა სახიდან ჩევნ შევჩერდით თესლების თესისწინა დამუშავებაზე, რაღაც ეს მეთოდი გარდა იმისა, რომ ამცირებს მიკროლემენტების დანახარჯებს [16], ხელს უწყობს მოსახლის გადიდებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას [17].

ჩვეულის მიერ შესწავლილია ბორითა და მოლიბდენით სორის თესლების თეს-
ტენის მიერ შესწავლილია ბორითა და მოლიბდენით სორის თესლების თეს-
ლების გაცვლენა მოსავარზე, მცენარეში მიმღინარე აზოტოვნი ნივ-
თიერებათა ცვლაზე და მიღებული მოსავლის თესლში ცხიმის შემცველობაზე.

ცდები ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა
ანაზომისა და ფიზიოლოგიის კათედრაზე პროფ. ქ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით.
სავალე ცდებისათვის სოია დაითესა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის საცდელ ნაკ-
ვეთზე. სოის თესლის დამუშავება ჭარბობადა მიკროელემენტების სნარებში
დათვესამდე 12 საათის განმავლობაში. ბორს ვიყენებდით ბორის მევას სახით



0,2 გ/ლ, ხოლო მოლიბდენს — ამონიუმშავა მოლიბდენის მარილის სანით 0,025 გ/ლ.

ცდების პირველ წელს სოია დაითესა სამ ვარიანტად: 1. საკონტროლო, 2. ბორით დამუშავებული და 3. მოლიბდენით დამუშავებული, თითოეული ვარიანტი 3 განმეორებით. მომდევნო წელს ჩატარებულ ცდებში გამოყენებული იყო წინა წლის მოსავლის თესლი. მიღებული შედეგების შემოწმებასთან ერთად, საინტერესო იყო შეგვესწავლა ბორითა და მოლიბდენით დამუშავებული თესლის განმეორებითი დამუშავების გავლენა სოიის მოსავალზე და ზოგიერთ ფიზიოლოგიურ მაჩვენებელზე. ამ მიზნით წინა წელს ბორით დამუშავებული თესლის ნაწილი კვლავ დაგამუშავეთ HBO_3 0,2 გ/ლ ხსნარში, ხოლო მეორე ნაწილი (საკონტროლო) კი გამოხდილ წყალში. ანალოგიურად, წინა წელს მოლიბდენით დამუშავებული თესლების ნაწილი დამუშავდა $(\text{NH}_4)_2 \text{M}_0 \text{O}_3$ -ის 0,025 გ/ლ ხსნარში, ნაწილი გამოხდილ წყალში. ამრიგად, ცდების მეორე წელს სოია დაითესა 4 ვარიანტად: 1. ბორი საკონტროლო, 2. ბორი განმეორებით, 3. მოლიბდენი საკონტროლო, 4. მოლიბდენი განმეორებით. თითოეული ვარიანტის ცდა სამი განმეორებით ჩატარდა.

საცდელი და საკონტროლო ვარიანტების მოსავლიდან შეგარჩიეთ 20-20 საშუალო განვითარების მცნარე და გავარკვით შემდეგი მონაცემები: მცნარის სიმაღლე, მუხლების რაოდენობა ძირითად ღეროზე, ღეროს დიამეტრი მცნარის მთელ სიგრძეზე, მცნარის წონა უპარკებოდ (მწვანე მასა), პარკების წონა, 1000 თესლის წონა და მოცულობა. პირველ ცხრილში წარმოდგენილია საშუალო მო-

ცხრილი

მიკროელემენტების გავლენა სოიის მოსავალზე

ვარიანტები	სიმაღლეს სწორ მდებარეობა	შეცავით არამდებარებული მდებარეობა	შეცავით მდებარეობა	შეცავით მდებარეობა	1 მცნარის შეცავით მდებარეობა	1 მცნარის შეცავით მდებარეობა	1000 თესლის წონა	განვითარების შეცავით მდებარეობა
საკონტროლო	78,1	16	8,16	—	57,7	57,2	151,5	112,0
ბორი	94,4	19	9,46	—	59,0	70,3	158,3	143,3
მოლიბდენი	97,0	19	9,30	—	67,24	67,0	162,4	150,0
B საკ.	83,0	20	10,93	16,5	91,75	101,0	196,0	155,0
B განმ.	88,0	19	11,7	16,5	100,5	166,5	200,5	160,0
M ₀ საკ.	81,0	18	9,33	13,5	70,0	136,7	173,4	150,0
M ₀ განმ.	90,5	18	11,33	15,0	103,75	175,0	180,0	160,0

ნაცემები: როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მიკროელემენტების ბორისა და მოლიბდენის მარილთა ხსნარებით სოიის თესლების თესვისწინა დამუშავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მცნარის ზრდა-განვითარებაზე. კერძოდ მის სიმაღლეზე, პარკების წონაზე და სხვა მაჩვენებლებზე.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მოლიბდენით დამუშავებული მცნარის სიმაღლე 19 სმ-ით მეტია საკონტროლოზე, ბორით დამუშავებულ ვარიანტში კი მცნარის სიმაღლე მატულობს 16,3 სმ-ით. სიმაღლის მატება ხდება ნაშილობრივ მუხლოთშორისების რაოდენობის მატების ხარჯზე, ძირითადად კი მუხლოთშორისების სიგრძის გაზრდის შედეგად. იცვლება ღეროს დიამეტრი — საკონტრო-

ბორითა და მოლიბდე. თესლის თესვისწინა დამუშავების გავლენა სოიის მოსავალზე უკავშირდება.

ლოსტან შეღარებით, საცდელი მცენარეების ღეროს ღიამეტრი მეტია მცენარის მთელ სიგრძეზე.

ბორით და მოლიბდენით სიის თესლის თესვისწინა დამუშავება დადგებით გავლენას ახდენს მოსავალზე. მატულობს მცენარის მწვანე მასის წონა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მატება მოლიბდენით თესვისწინა დამუშავებულ ვარიანტში. მომატებულია პარების წონა, რაც ბორით თესვის წინ დამუშავებულ ვარიანტში მეტი მაჩვენებლით აღინიშნება. მომატებულია 1000 თესლის წონა და მოცულობა.

ორი წლის ცდების შედეგების ერთმანეთთან შედარებისას ირკვევა, რომ შეორე წელს ცდების ყველა ვარიანტში მცნარის მწვანე მასისა და პარკების წონა მეტია წინა წელთან შედარებით. მომატებულია აგრძელებული 1000 თესლის წონა და მოცულობა, რაც შეიძლება განსხვავებული კლიმატური პირობებით აიხსნას. პირველი წლის სავეგეტაციი პერიოდი იყო ცხელი და მშრალი, მეორე წლისა კი—გრილი და ტენიანი. ორივე წელს მცნარის მწვანე მასის მატებას მეტად იწვევს მოლიბდეზი, ხოლო პარკების წონის მატებას—ბორი.

მიკროელემენტებით ბორითა და მოლიბდენით სიის თესლის თესისწინა
დამუშავებული თესლიდან მიღებულ მცენარეებში ჩვენ მიერ შესწავლითა აზო-
ტოვან ნივთიერებათა ღინამიკა ფოთლებში, მწვანე პარკში და თესლებში. ფოთ-
ლებში საერთო და კილოვანი აზოტი განსაზღვრულია მცენარის განვითარების
სამ ფაზაში: ყვავილობამდე, ყვავილობისა და მწვანე პარკის ფაზაში. აღმოჩნდა,
რომ ბორი და მოლიბდენი დადებით გავლენას ახდენს სიის ფოთლში
აზოტოვან ნივთიერებათა შეძლებაზე.

რაოგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, მიერთელებენ ტების გავლენით სოიის ფოთლებში მატულობს საერთო, ცილოვანი და ორაცილოვანი აზოტის რაოდენობა. შესაბამისად იზრდება ცილის პროცენტი. საერთო აზოტის რაოდენობა მეტად მატულობს მოლიბდენით ოსეიისწინ დამუშავების გავლენით; ბორით დამუშავება მოლიბდენთან შედარებით, ნაკლებად ზრდის საერთო აზოტის რაოდენობას, მაგრამ ცილოვანი აზოტი და ცილი ბორით დამუშავებული ვარიანტის



ფოთლებში ყვავილობის ფაზაში მეტია როგორც მოლიბდენის, ისე სპუნქტურულის
ლო ვარიანტებზე. მწვანე პარკობის ფაზაში ბორითა და მოლიბდენით გამოწვე-
ული ცვლილებები ერთმანეთს უახლოვდება.

ცხრილი 2

აზოტის შემცველობა სოის ფოთლებში (%) აბს. მშრალ მასაზე)

ფაზები	ყვავილობაში			ყვავილობა			მწვანე პარკობა		
	საერ- თო N	ცილო- ვანი N	ცილი	საერ- თო N	ცილო- ვანი N	ცილი	საერ- თო N	ცილო- ვანი N	ცილი
საკონტროლო	—	—	—	3,75	3,28	20,50	1,77	1,08	6,75
ბორი	—	—	—	5,45	4,48	28,00	2,05	1,10	6,88
მოლიბდენი	—	—	—	6,05	4,04	25,25	2,49	1,12	7,00
B საკ.	4,88	3,98	23,88	2,82	3,58	22,38	2,27	2,07	12,94
B განმ.	4,94	4,48	28,00	4,01	3,72	23,23	2,93	2,35	14,68
Mo საკ.	2,87	2,36	14,75	3,45	3,09	19,30	2,65	2,12	13,25
Mo განმ.	2,71	2,28	14,25	3,62	3,33	20,07	2,26	2,02	12,62

ეფექტური აღმოჩნდა ბორით განმეორებითი დამუშავება. მისი დადგებითი გავლენა ყველა შესწავლილ ფაზაში შეიმჩნევა. მოლიბდენით განმეორებითი და-
მუშავება უმნიშვნელოდ ცვლის აზოტოვან ნივთიერებათა დაგროვებას სოის ფოთლებში.

სოის ფოთლებში მწვანე პარკობის ფაზაში საერთო აზოტისა და ცილის რაოდენობა ყველა შესწავლილ ვარიანტში კლებულობს ყვავილობის ფაზასთან შედარებით, რაც შეიძლება პარკების წარმოქმნითა და მწვანე თესლში ცილის მო-
ბილიზაციით აიხსნას.

სოის მწვანე პარკში მიკროელემენტებით ბორითა და მოლიბდენით თეს-
ლების თესვისწინა დამუშავების გავლენა აზოტოვან ნივთიერებათა დაგროვებაზე შესწავლილია დიფერენცირებულად პარკის კედელში და დაუმშიფებელ თესლში (ცხრილი 3).

ცხრილი 3

აზოტოვან ნივთიერებათა შემცველობა სოის მწვანე პარკში (%) აბს. მშრალ მასაზე)

ვარიანტები	პარკის კედელი				დაუმშიფებელი თესლი			
	საჭრე აზოტი	ჰეტე ოლო ცილი	ტენი ტენი ცილი	ცილი	საჭრე აზოტი	ჰეტე ოლო ცილი	ტენი ტენი ცილი	ცილი
საკონტროლო	2,60	1,10	1,50	6,87	4,10	3,52	0,58	20,0
ბორი	2,74	1,10	1,64	6,87	4,75	4,28	0,47	26,75
მოლიბდენი	3,00	1,14	1,86	7,12	5,01	4,62	0,39	28,87
B საკ.	1,85	1,25	1,60	7,92	4,58	4,38	0,20	27,38
B განმ.	1,88	1,82	0,06	11,38	5,97	5,93	0,04	37,06
Mo საკ.	1,78	1,40	0,38	8,75	5,46	3,61	1,85	21,56
Mo განმ.	1,79	1,50	0,29	9,37	5,84	5,15	0,69	32,19

შესამე ცხრილი გვიჩვენებს, რომ როგორც პარკის კედელში, ისე დაუმშიფე-
ბელ თესლში მიკროელემენტების გავლენით საერთო და ცილოვანი აზოტის რაო-

დენობა მატულობს თითქმის ყველა ვარიაცია. შესაბამისად იზოდება ცილის რაოდენობა;

სოის დაუმწიფებელ თესლში საერთო და ცილოვანი აზოტის მატებას ბორბალ შეიარტით უთავდ მეტად აწყობს ხელს მოლიბდენი.

სოიის თესლის მომწიფებასთან დაკავშირებით აზოტოგან ნივთიერებათა შემცველობა საკონტროლო და დამუშავებულ ვარიანტებში მატულობს.

363030 4

აზოტოვან ნივთიერებათა შემცველობა სოის თესლში (%) აბს. მშრალ მასაზე)

ဒုက္ခနာရမှုပါန	စာရင်တမ	အစွမ်း	ပေါ်ကျောင်	အစွမ်း	အကျဉ်းဆောင်	ပေါ်		
	ထိန်းသွေ့ မီလီ	ထိန်းသွေ့ မီလီ	ထိန်းသွေ့ မီလီ	ထိန်းသွေ့ မီလီ	ထိန်းသွေ့ မီလီ	ထိန်းသွေ့ မီလီ		
စာရင်တမ	4,10	4,40	3,52	3,64	0,58	0,76	20,00	22,50
ပဲကြာ	4,75	5,25	4,28	4,48	0,47	0,77	26,75	24,02
မားလိုပါန	5,01	5,70	4,62	4,06	0,39	0,64	28,87	25,37
B စာဌ.	4,58	6,99	4,38	5,22	0,20	1,77	27,38	32,62
B ဂား	5,97	6,42	5,99	4,29	0,04	2,13	57,06	26,81
Mo စာဌ.	5,46	6,41	3,61	5,72	1,85	0,69	21,56	35,76
Mo ဂား	5,84	5,77	5,15	5,16	0,69	0,61	32,19	32,25

მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ სოის მწიფე თესლში ბორი და მოლიბდენი ზრდის საერთო და ცილოვანი აზოტის რაოდენობას საკონტროლოსთან შედარებით უკვე შეიძლება მოლიბდენით თესლისწინა დამუშავება.

ဝါဝာ ဖျော်ချုပ် စွဲလွှာပုံ လျှော့ချုပ် အနေဖြင့် မြတ်ဆုံး ပေါ်လိုက် သွေးခြင်း ဖြစ်ပါသည်။ မြတ်ဆုံး ပေါ်လိုက် သွေးခြင်း ဖြစ်ပါသည်။

სოია წარმოადგენს ცილლვან-ცხემძოვან მცენარეს. ლიტერატურაში მცირე
მონაცემები მოიპოვება მიკროელემენტების გავლენის შესახებ მცენარეში ცხომების
შემცველობაზე. ა. იაკუბოვის, ა. აბდურახიმოვის, ჩ. მირზაკარიმოვის, ნ. გო-
რიუნივასა და ლ. დავთაინის [18] მიერ აღნიშნულია მოლიბდენისა და ბორის
შემცველი მაღნის დადებითი გავლენა ცხრილი 5

360 5

ცხიმის შესცველობა სოის
თესლში (%) (მშრალ წონაზე)

ମହୀୟାଲୀ	ଶ୍ରୀତଜ୍ଞେରାଦି ଦାମ୍ଭିଶ୍ଵାସେବା	ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତା ଦାମ୍ଭିଶ୍ଵାସେବା
ପାରାନ୍ତ- ତ୍ର୍ୟବିଂ		
ସାଧନକ୍ରମଳୟ	16.88	
B ସାଧ.	20.39	14.61
B ଗାନ୍ଧି.	—	16.85
Mo ସାଧ.	20.15	17.54
Mo ଏତ୍ତ	—	17.88

ჩვენ მიერ შესწავლილია ცხიმის
შემცველობა მიკროელემენტებით თესვის
წინ დამუშავებული თესლებიდან მიღებუ-
ლი სიიდის მოსავლის თესლში.

როგორც მე-5-ცხრილიდან ჩანს,
მიკროელემნტებმა ბორმა და მოლიბდენ-
მა გამოიწვია ცხიმის შემცველობის მა-
ტება როგორც ერთჯერადი, ისე განმეო-
რებითი დამუშავებისას. სოის თესლში
ცხიმის რაოდენობა ცდების მეორე წელს



თან შედარებით. ჩანს, აგროკლიმატურმა კონპლექსმა ხელი შეუშალა ჰქონია მის ნორმალურ დაგროვებას. მიუხედავად იმისა, მიკროელემნტების—ბორისა და მოლიბდენის გავლენით ცხიძის შემცველობა მომატებულია საკითხროლოსთან შედარებით.

განმეორებით დამუშავება განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ბორის გარიანტში. მოლიბდენით საკონტროლო და განმეორებით დამუშავებულ ვარიანტებს შორის ლიდი სხვაობა არ შეიძლება.

ჩატარებული მუშაობის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნები:

1. მიკროელექტრებით ბორითა და მოლიბდენით სინის თესლების თესვის-წინა დამუშავება დადებით გავლენას ახდენს სინის მოსავალზე. ბორით როგორც ერთჯერადი, ისე განმეორებითი დამუშავება მნიშვნელოვნად ზრდის პარკების მოსავალს, ხოლო მოლიბდენით ერთჯერადი და განმეორებითი დამუშავება მეტად ზრდის მცენარის მშვანე მასის წინას.

2. მიკროელექტრებით — ბორითა და მოლიბდენით სიის თესლის თესვისწინა დამუშავების შედეგად სიის ფოთლებში მატულობს აზოტოვან ნივთიერებათა დაგრძოვება. სიის ფოთლებში ცილოვანი აზოტის შემცველობა საკინტროლოს-თან შედარებით უფრო მეტად გაზრდილია ბორით დამუშავებულ ვარიანტში.

3. სოიის მწვანე პარკში მიკროელემნტების—ბორისა და მოლიბდენის გავლენით საერთო და ცილინგრანი აზოტის რაოდენობა მომატებულია საკონტროლოსთვის შევარჩებით.

4. მიკროელემენტებით ბორითა და მოლიბდენით სოის თესლის თესვის-წინა დამუშავება გავლენას ახდენს მიღებული მოსავლის თესლში აზოტოვან ნივთიერებათა დაგროვებაზე. მიკროელემენტების დადებითი გავლენა დაუმტიფებელ თესლში უფრო თვალსაჩინოა.

5. საცდელი გარიბანტების ურთიერთშედარებიდან ირკვევა, რომ სოიის ფოთლებში და მწვანე პარკში საერთო და ცილოვანი აზოტის რაოდენობას მეტად ზრდის ბორი, ხოლო თესლებში (დაუმწიფებელი, მწიფე) — მოლიბდენი.

6. მიკროლეგმნტებით — ბორითა და მოლიბდენით თესლების თესვისწინ დამუშავების შედეგად სოის მწიფე თესლში ცხიმების შემცველობა შესამჩნევად იზრდება. ამასთანავე, ცხიმების შემცველობის ნამატი მეტია ბორით განმეორებით დამუშავებისას. ცხიმის შემცველობა მოლიბდენის ვარიანტში მარც უფრო მეტია კიდრე ბორის საკონტროლო და საცდელ ვარიანტებში.

(წარმოდგენილია 20.XII.69)

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა

ବ୍ୟକ୍ତିଗାନପତ୍ର

1. А. П. Кибаленко, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве“, Ташкент, 1965, стр. 48—51.
 2. М. П. Миронова, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве и медицине“, Изд. АН Латв. ССР, Рига, 1956, стр. 401—408.
 3. А. В. Старцева, И. М. Васильева, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве и медицине“, Изд. АН Латв. ССР, Рига, 1956, стр. 313—320.
 4. Т. С. Олимпиенко, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность“, ч. 3, Петрозаводск, 1965, стр. 177—178.



5. В. Г. Лапа, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве и медицине“, Изд. с/х лит. Укр. ССР, Киев, 1963, стр. 240—241.
6. И. А. Пospelов, Сб. „Микроэлементы в жизни растений и животных“, Изд. АН ССР, Москва, 1952, стр. 206—218.
7. Д. Калекенов, Влияние микроэлементов (B, Mn, Cu) на физиолого-биохимические процессы и урожай листьев табака; автореферат докторской диссертации, Алматы, 1965.
8. П. А. Власюк, Докл. всесоюзн. акад. с/х наук, вып. 7, 1959, стр. 3—7.
9. К. Е. Цхакая, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность“, ч. 2, Петрозаводск, 1965, стр. 113—114.
10. К. Е. Цхакая, К. И. Бекая, Е. Т. Цхадая, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность почв“, ч. 2, Петрозаводск, 1965, стр. 115—116.
11. К. К. Бамберг, Изд. АН Латв. ССР, № 2, 1953, стр. 59—64.
12. М. Д. Киндякова, Учен. записки Мордовского ун-та, вып. 13, 1960, стр. 70—75.
13. А. Н. Гульхамедов, Изд. АН Азерб. ССР, серия биол. и мед. наук, № 4, 1961, стр. 65—75.
14. Н. П. Немсадзе, Сб. „Микроэлементы и естественная радиоактивность“, ч. 2, Петрозаводск, 1965, стр. 86—87.
15. А. В. Петербургский, Г. Л. Нелюбова, Докл. Тимиряз. с/х акад., вып. 64, 1961, стр. 41—47.
16. М. Н. Школьник, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве и медицине“, Изд. АН Латв. ССР, Рига, 1956, стр. 23—40.
17. Я. В. Пейве, Изв. АН ССР, серия биологическая, № 6, 1931, стр. 848—856.
18. А. М. Якубов, А. А. Абдурахимов, Р. Мирзакаримов, И. П. Горюнова, Л. А. Давтян, Сб. „Микроэлементы в сельском хозяйстве“, Ташкент, 1965, стр. 103—108.

Н. П. НЕМСАДЗЕ

ВЛИЯНИЕ ПРЕДПОСЕВНОЙ ОБРАБОТКИ СЕМЯН СОИ БОРОМ И МОЛИБДЕНОМ НА УРОЖАЙ, ОБМЕН АЗОТИСТЫХ ВЕЩЕСТВ И СОДЕРЖАНИЕ ЖИРА

(Резюме)

Нами изучено влияние предпосевной обработки семян сои микроэлементами — бором и молибденом — на урожайность, обмен азотистых веществ и на содержание жиров в семенах полученного урожая. Выяснилось, что предпосевная обработка семян сои микроэлементами положительно влияет на увеличение урожая. Однократная и повторная обработка семян бором значительно увеличивает урожай бобов, а однократная и повторная обработка молибденом увеличивает вес зеленой массы.

Предпосевная обработка семян сои микроэлементами увеличивает накопление азотистых веществ в листьях, створках зеленых бобов и в не зрелых и зрелых семенах. При однократной обработке увеличение содержания белка вызывает молибден, а при повторной обработке — бор. Поло-



05.03.53.30

ЗПДСПРИОБР

жительное влияние микроэлементов на накопление общего и белкового азота нагляднее проявляется в незрелых семенах.

Предпосевная обработка семян сои, по сравнению с контролем, вызывает увеличение процентного содержания жиров в семенах полученного урожая. Общее количество жиров в семенах сои больше при обработке молибденом, но разница в содержании жиров между контрольными и опытными вариантами больше при обработке бором.

Повторная обработка семян сои молибденом и бором проявляется различно.

თევზების ქცევის ჟანრებისათვის

6. სიხარულიძე

ცხოველთა სამყაროს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ქცევის ნერვული მექანიზმების შესწავლა უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ საკითხის შესწავლის მიზნით ფიზიოლოგთა უურადღება უმთავრესად მიქცეული იყო ძუძუმწოვარ ცხოველებზე [1]. ხერხებისათვის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ წარმომადგენელთა შესახებ კი ამ მიმართულებით შედარებით ნაჯები გამოკვლეულია ჩატარებული.

თევზების ქცევის შესწავლისას ძირითადი ყურადღება ექცეოდა პირობით-რეფლექსურ ქცევას. ფრთხოების [2,3] მტკნარი წყლისა და ზღვის თევზებზე პირობით რეფლექსებს სწავლობდა სინათლით და ბგერით გამოიზიანებლებზე. მისი გამოკვლეულების შედეგად შესაძლებელი გახდა თევზებზე პირობითი რეფლექსების გამომუშავება როგორც სინათლით, ასევე ბგერით გამოიზიანებლებზე. ხოლო დოვის [4], მაღიუკინას [5] და სხვათა მიერ აგრეთვე შესწავლილი იყო თევზების პირობით-რეფლექსური მოქმედება. ამ იეტორების აზრით თევზებში ადგილად მუშავდება პირობითი რეფლექსები, თუმცა ეს რეფლექსები მეტად არამდგრადი და არამტკიცეა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოხამოთვლილი ავტორები თევზების ქცევის შესწავლისას ქაყოფილდებოდნენ მხოლოდ მათი პირობით-რეფლექსური მოქმედების შესწავლით. ეს ეხებოდა როგორც ფრთხოების [2,3], ასევე სხვა ავტორთა [4,5] ცდებსაც, რომლებიც ფრთხოების შემდეგ იყო ჩატარებული. დღესაც კარამიანის [6] ლაბორატორიისა და საერთოდ სხვათა ცდები თევზების ქცევის ნერვული მექანიზმების შესაძლებლად მიმართულია მათი პირობით-რეფლექსური მოქმედების შესწავლისაკენ. რაც შეეხება თევზების ქცევაში აღქმული ხატის საფუძველზე წარმართული ქცევის თავისებურებათა შესწავლას, თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა.

ამფიბიებში, რომლებიც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე თევზები, ინდივიდურად შეძნილი ქცევა უფრო პრიმიტიული ხასიათისაა, ვიდრე თევზებში [7]. ბაყაყის ინდივიდური რეაქციის განვითარება დიდი დაყოვნებით წარმოებს და საბოლოოდ მტკიცე რეაქციის მიღება შეუძლებელი ხდება [8].


ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა თევზების ქცევა და გაგვერცვა მისი თავისებურებანი. გვაინტერესებდა განპირობებულია თუ არა თევზების ქცევა აღქმული აბიექტთა ხატის არსებობით, კერძოდ, საკვების ადგილმდებარების და მიღებული მტკიცეული გაღიზიანების ადგილმდებარების ხატის არსებობით. შევისწავლეთ აგრეთვე ამ ობიექტებზე პირობითი რეფლექსური ქცევის თავისებურებანიც.

გეთოდიკა



ცდებს ვაწარმოებდით თავისუფალი მოძრაობის მეთოდით [9] სპეციალურ აქვარიუმში ($100 \text{ cm} \times 50 \text{ cm} \times 60 \text{ cm}$), რომელიც დაყოფილი იყო ტიხრებით (სურ. 1) აქვარიუმის ერთ ნაწილში თევზები იმყოფებოდნენ ცდათა შორის ინტერვალებში. მეორე ნაწილი სპეციალური გაუმჭვირვალე ტიხრებით დაყოფილი იყო სამ განყოფილებად, საიდანაც თევზები სხვადასხვა ცდებში ღებულობდნენ საკვებს.

თევზების სივრცითი ორიენტაციის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ თავისუფალი მოძრაობის მეთოდი. სადგურის გაღებისას თევზები სპეციალური ბადით



სურ. 1. საექსპერიმენტო აქვარიუმი—N^o 1, 2, 3—საკვები განყოფილებები; N^o 4—სადგური, სადაც იმყოფებოდნენ თევზები ცდათა შორის

წყალშივე მიგვყავდა საკვები განყოფილებისაკენ, ვკვებავდით და შემდეგ ვაბრუნებდით სადგურში.

პირობითი კვებითი ქცევის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ ორი სახის გამლიზიანებელი—განათება (მცირე ზომის ნათურა 110 ვოლტიანი და 8 ვატიანი) და ბერა (ბზუილა გენერატორიან—200 Hz და 800 Hz და ელექტროზარი).

ნაწილ ცდებში თევზების გამლიზიანებლად ვიყენებდით მტკიცეულ გალიზიანებას. აქვარიუმის ერთ ბოლოში საიზოლაციო ფირფიტით ჩაშეებული იყო თუნექის ელექტროდები, რომელიც დაფარული იყო თუთით. ისინი შეერთებული იყო დენის წყაროსთან. ელექტროდებს ვაწვდიდით ისეთი ძაბვის დენს, რომ წყალში წარმოშობილიყო 2—4 კოლტის ძაბვის დენი.

ცდები ჩატარებულია სულ 10 ოქროს თევზე; მუშაობის დროს დაცრწმუნდით, რომ ცდის დაყენება უფრო მიზანშეწონილი იყო ორ-ორ თევზე ერთად, ვიღრე თითოეულზე ცალ-ცალკე.

1. ცდები ხატის საშუალებით არსებული ქცევის გასარკვევად. საცდელ თევზებს წინასწარ ვაჩვევდით საექსპერიმენტო გარემოს. ცდების პირველ დღეებში თევზებში აღნიშნებოდა ყოველი ახალი ობიექტისაღმი შიში, დამალვის და გაქცევის მოთხოვნილება, საკვებთან ძალით მიყვანისას დასხლტომა ხელიდან და გაქცევა. აღსანიშნავად, რომ ეს რეაქციები დიდი დროის განმავლობაში ინახებოდა თევზებში და ძნელადაც ქრებოდა. პირველ ხანებში თევზები საკვებთან ძალით

მიყვანისას (ბადით) არ ლებულობდნენ საკვებს, მაგრამ როცა უკვე აკვარიტებს საქმარისად შეეჩინენ, თუ რომელიმე აღილას თავისით (წაყვანის გარეშე) წააშედებოდნენ საკვებს და შესამდნენ, მაშინ პირებისაგვე ცდების დროს ტიხრის აწევისას მიემართებოდნენ საკვების აღგილმდებარეობისაკენ. ხოლო საქმარისი იყო ამ დროს რაიმე ხმაური ან საერთოდ რაიმე სხვა არაჩვეულებრივი გამლიზიანებელი, რომ უკვე აღარ მიემართებოდნენ საკვების აღგილმდებარეობისაკენ.

თევზებში დაყოვნებული რეაქციების შესწავლისას გარკვეული იქნა, რომ დაყოვნების მაქტიმუმი მათში ძალიან მცირეა ($10''$). უფრო დაგვიანებით სადგურიდან გამოშვებისას თევზები უკვე აღარ მიემართებოდნენ საკვების აღგილმდებარეობისაკენ (ოქმი № 1).

ოქმი № 1

10. IV. 1963 წ. თევზები პატარა და დიდებულა

1. ქსნით საღურის კარს და ბადით მიგვყავს წყალშივე კვების პირველ განყოფილებაში ვაჭმევთ საკვებს და საღურში ვაბრუნებთ ბადითოვ.

2. 1'-ის შემდეგ ვუღებთ საღურის კარს, გამოდის დიდებულა, უკან მისდევს პატარა, დაცურავენ შუა აკვარიუმში, მიემართებინ ისევ საღურისაკენ, მერე იწევიან ზევით წყლის ზედანიზე. ეძებენ საკვებს, ბადით შეგვყავს საღურში და ვუკეთავო კარს.

3. 2'-ის შემდეგ მიგვყავს ბადით ორივე № 2 განყოფილებაში, ვაჭმევთ, ბადითვე შეგვყავს საღურში.

4. 2"-ის შემდეგ ვუშვებთ საღურიდან, მიცურავენ პირდაპირ № 2 განყოფილებისაკენ, ლებულობენ საკვებს, გამოდიან გარეთ, შემდეგ ისევ შედიან ტიხრის უკან და ლებულობენ საკვებს, ბადით მიგვყავს საღურში და ვუკეთავო კარებს.

5. 2'-ის შემდეგ მიგვყავს ბადით № 1 განყოფილებაში, ვაჭმევთ საკვებს და ბადითვე ვაბრუნებთ საღურში.

6. 2"-ის შემდეგ ვუშვებთ საღურიდან, ორივე მიცურავს წინ, შემდეგ ბრუნდებიან უკან, მაგრამ სწრაფადვე ისევ ტრიალებიან და პირდაპირ მიემართებიან № 1 განყოფილებისაკენ, მე-10"-ზე ლებულობენ საჭმელს, საღურში შეგვყავს ბადით.

7. 20"-ის შემდეგ ვუშვებთ ტიხრიდან, გამოდიან ორივენი, ცურავენ აკვარიუმში, საკვები განყოფილებისაკენ არ მიემართებიან.

8. 1,5'-ის შემდეგ ვუღებთ საღურს და მიგვყავს ბადით № 3 განყოფილებისაკენ. ლებულობენ საკვებს, საღურში ვაბრუნებთ ბადით.

9. 10"-ის შემდეგ ვუშვებთ საღურიდან, ორივე გამოდის, იწყებენ ცურვას აკვარიუმში, მე-12"-ზე მიემართებიან № 1 განყოფილებისაკენ, შედიან ტიხრის უკან, ბოლოს გამოდიან გარეთ და უწყებენ ცურვას შუა აკვარიუმში.

10. 2'-ის შემდეგ შეგვყავს ბადით № 2 განყოფილებისაკენ, ვაჭმევთ საკვებს, შემდეგ ბადითვე ვაბრუნებთ უკან საღურში და ვუკეთავო კარს.

11. 2"-ის შემდეგ ვუშვებთ საღურიდან, გამოდიან ორივე ერთად, პირდაპირ მოცურავენ № 2 საღურისაკენ, მე-10"-ზე ჰამენ საკვებს, საღურში ვაბრუნებთ ორივეს ბადით.

როგორც ოქმი № 1-დან, ჩანს, საკვების მიღებიდან რამდენიმე წამის ($2''$ — $10''$) განმალობაში თევზები პირდაპირ მიემართებინ საკვების აღგილმდებარეობისაკენ. ინტერვალის შემდგომი გაგრძელებისას კი მათი მოძრაობა საკვების აღგილმდებარეობისაკენ იწლევა.

ძუძუმწოვარ ცხოველებზე ჩატარებული ცდებიდან ცნობილია, რომ უმაღლესი ძუძუმწოვარი ცხოველები (ძალლი, კატა) აღვილად უზვევენ გვერდს წინა-აღმდევობას, რომელიც მოთავსებულია საკვების აღგილმდებარეობის გზაზე. თევზებზე ჩატარებული ასეთი სახის ცდებში კი აღინიშნებოდა მეტად საინტე-

რესო თავისებურებანი. მაგ., თუ თევზეს საკვების ადგილმდებარეობას და წინააღმდეგობით (პატარა ფიცრის ნაჭერით), თევზები საკვებისაენ წასვლისას პირველ ცდებში 10—15 სმ-ით უახლოვდებიან ფარს და სწრაფად უკნ ბრუნდებიან. მას შემდეგ მაშინვე, ხელმეორედ უახლოვდებიან ფარს და ისევ ბრუნდებიან უკნ; შემდეგ უფრო ახლოს მიცურავენ ფართან, თითქოს ყნოსავენ, აღიან ზევით წყლის ზედაპირზე, ცდილობენ ზევიდან გადაცურდნენ, მაგრამ შიშის რეაქციების გამო ბრუნდებიან უკან. ასეთი რეაქციები (მახლოება ფართან და უკან ძაბრუნება) დაახლოებით გრძელდებოდა საკვების ჩენებიდან 9''—10''-ის განმავლობაში, ამის შემდეგ კი ასეთ მიზანშეწონილ მდგომარეობას ვერ ვამჩნევდით. ამ რეაქციებიდანაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკვების ადგილმდებარეობის ხაზი 9''—10''-ის განმავლობაში ენახებოდა თევზებს.

თევზებს ვალიზიანებდით ცვლადი სიხშირის ელექტროლეინით. იქ, სადაც ჩაშეებული გვერნდა ელექტროლეინი, წინასწარ დავიწყეთ თევზების კვება ელექტროლი გალიზიანების გარეშე და გავავტომატეთ თევზების შეცურება საკვების მისაღებად. გავტომატების შემდეგ საცდელ აკვარიუმში თევზების გადაყვანისას ისინი პირველ რიგში მიცურავდნენ საკვების ადგილმდებარეობისაკენ და ყოველ-ისინი პირველ რიგში მიცურავდნენ საკვების ადგილმდებარეობისაკენ და ყოველ-ისინი ნახულობდნენ იქ საკვებს (შესასვლელი ამ მიღამოში მუდმივად ღია გვქონდა): თვის ნახულობდნენ იქ საკვებს (შესასვლელი ამ მიღამოში მუდმივად ღია გვქონდა): თევზებს ნახულობდნენ იქ საკვებს დროს მივეცით ელექტრული გალიზიანება. თევზები შემდეგ ერთ-ერთ ცდაში კვების დროს მივეცით ელექტრული გალიზიანება. თევზები მაშინვე დაანება თავი კვებას და დასტოვა გალიზიანების ადგილი. ამის შემდეგ 6''-ის განმავლობაში იმაღლებოდა აკვარიუმის ერთ-ერთ განყოფილებაში, მე-8''-ზე გამოვიდა იქიდან და დაიწყო ცურვა აკვარიუმში, მე-10''-ზე მიუხსლოვდა გალიზიანების მიღამოს, შემდეგ შეჩერდა, ბოლოს მე-12''-ზე შევიღა შიგ და შეჭამა საკვები. ასე იქცეოდა ყველა თევზი, ე. ი. ღაახლოებით $10'' - 12''$ -ის განმავლობაში ისინი არ ეკარგებოდნენ გალიზიანების ადგილს, მიუხსლდავდ იმისა, რომ წინათ ბაში ისინი არ ეკარგებოდნენ გალიზიანების ადგილს, მიუხსლდავდ იმისა, რომ წინათ ბეგრძერ მიეღოთ საკვები და საცდელ აკვარიუმში გადაყვანისას ყოველფრის მიერთებოდნენ ამ მიღამოსაკენ.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თევზების ქცევაში მნიშვნელოვნ როლში თამაშობს ქცევა აღძრული ხატის საფუძველზე, თუმცა თევზების უნარს ასეთი ქცევა-საღმი, ცხადია, არ მიუღწევია განვითარების იმ ეტაპისათვის, როგორც ეს აღინიშნება ძუძუმწოდარ ცხოველებში. თუმცა ელემენტარულ ხატთა არსებობა თევზებში სავსებით დასაშვებია. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ საკმაოდ რთულია გამოვლინებულ იქნას თევზებში ქცევის ასეთი ტიპი. თევზები, განსხვავებით ფრინველებისა და ძუძუმწოდარ ცხოველებისაგან, ძნელად ეგუებიან და ეწვევინ საცდელ გარემოს და თვითი ექსპერიმენტატორს. ყოველივე არაჩეულებრივი გაღიზიანება (სრულიად უმნიშვნელოც კი) იწვევს მათში შიშის და დამაღვის რეაქციას. აღსანიშნავია, რომ მათი მიყვანაც კი საკვებთნ იწვევს არაჩეულებრივ უარყოფით რეაქციას და შიშს. როგორც ცნობილია, ფრინველებში და ძუძუმწოდარ ცხოველებში ეს ასე არ ხდება. საკმარისია ძოლი ერთხელ მივიყვანოთ საკვებთან, თუნდა ძალით, რომ მეორედ იგი თავისით შრაფად გაიქცევა ადრე აღმული საკვებისაჟენ. ასეთი მოქმედების უნარი თევზებშიც იჩენს თავს, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყოველივე სხვა არაჩეულებრივი გაღიზიანება, სრულიად უმნიშვნელოც კი, არღვევს მათ მოქმედებას. გარდა ამისა, დაყოვნების მაქსიმალური ღრო თევზებს ძალიან მცირე აქვთ (8"-—12"). ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტის პირობებში ძნელია თევზების ქცევაში აღმული ხატის საფუძველზე მოქმედების გამოვლინება, მანც დამტკიცებულია უნდა ჩაითვალოს, რომ თევზებს გააჩნიათ აღმული გარემოს ხატის შენარჩუნების უნარი შედარებით მოკლე ხნით.

2. პირობითი კვებითი ქცევა თევზებში. ცდების განსაკუთრებულ სერიაში გვაინტერესებდა შეგვესტავლა თევზების პირობითი კვებითი ქცევა. პირობით სიგნალებად ვიყვნებდით განათებას (100 ვოლტიანი და 8 ვატიანი მცირე ზომის ნათურა) და ბგერას (ბზუილა 200Hz და 800Hz სიხშირისა და ელექტრული ზარი).

ზოგ შემთხვევაში ნათურას ვათაქსებდით უშუალოდ საკვებ განყოფილებაში. ამ შემთხვევაში, მსგავსად ძუძუმწოდარი ცხოველებისა, ყველაზე უფრო სწრაფად მუშავდება კვებითი პირობითი რეფლექსები. მაგ., ჩვენს ცდებში მე-4, მე-6 შეუღლებაზე უკვე აღინიშნებოდა რეფლექსის ნიშნები, ხოლო მე-14, მე-16 შეუღლებაზე კი რეფლექსი განმტკიცებული იყო. როდესაც ნათურას ვათაქსებდით არა საკვებ განყოფილებაში, მაგ., საღურთან ანდა შუა აკვარიუმში, პირობითი რეფლექსის გამომუშავება უფრო გვიანდებოდა. რეფლექსის პირველი ნიშნები აღმოჩენილია მე-8, მე-10 შეუღლებაზე, ხოლო რეფლექსი მტკიცებოდა 22—25-ე აღმოჩენილია მე-8, მე-10 შეუღლებაზე, ხოლო რეფლექსი მტკიცებოდა გამომუშავების შეუღლებაზე. ცდების ასეთ ვარიანტებში, როგორც რეფლექსის გამომუშავების აღრეულ სტადიაში, ასევე რეფლექსის განმტკიცებისას თევზები განათებაზე ძალიან ხშირად მიემართებოდნენ არა საკვები განყოფილებისაკენ, არამედ ანთებული ნათურისაჟენ.

ცდების სხვა ვარიანტებში ჩვენს მიერ შესწავლილი იყო თევზების პირობითი რეფლექსური რეაქციები ბგერაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბგერით გამღიზიანებელზე პირობითი რეაქციების გამომუშავება თევზებში არ ხასიათდება რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით, არამედ ამ რეაქციათა გამომუშავება თითქმის ისევე მიმდინარეობს, როგორც სინათლით გაღიზიანებაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბგერით გამღიზიანებელზე პირობითი რეფლექსების გამომუშავება თევზებში



უფრო გართულებულია, ვიდრე განათებაზე. მაგ., ბზუილაზე პირობით ბზულულებული აღმოცენდა მე-10,—მე-16 შეულლებაზე და განმტკიცდა 28-ე—32-ე შეულლებაზე, ხოლო ზარზე რეფლექსი აღმოცენდა მე-17—მე-18 შეულლებაზე და განმტკიცდა 30-ე—35-ე შეულლებაზე.

ჩვენი ცდების მიხედვით შესაძლებელია თევზებზე ბგერით გამღიზიანებელთა დიფერენცირება. მაგ., დიფერენცირებული იყო ბზუილა ზარისაგან და აგრეთვე შესაძლებელი განდა თვით ბზუილას სხვადასხვა სიხშირეთა დიფერენცირებაც კი (200Hz 800Hz—სგან; უფრო მახლობელ სიხშირებზე დიფერენცირაც ვერ მივიღეთ). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირობით სიგნალთა დიფერენცირება თევზებში ჩეტად გართულებულია. და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დადგენილად, არამედ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ დიფერენცირების ნიშნები.

ცდების გარკვეულ სერიაში შევისწავლეთ დაყოვნებული რეაქციები განათებასა და ბგერაზე. მრავალი ცდებით დავრწმუნდით, რომ თევზებში დაყოვნებული რეაქციების ხანგრძლივობა, როგორც სინათლით, ისე ბგერით გამღიზიანებაზე მეტისმეტად მცირეა. განათების გამორთვიდან რამდენიმე წამის (7—8) შუალედის შემდეგ თევზები სწორედ მიღიოდნენ შესაბამისი საკვები განყოფილებისაკენ. მაგრამ განათებასა და საღვურილან გამოშვებას შორის დროის შემდგომი გაგრძელებისას მხედველობით სიგნალზე პირობითი რეაქცია ქრებოდა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ლიტერატურული მონაცემებით [2, 3, 4, 5, 6, 10], ასევე ჩვენი ექსპერიმენტების მიხედვით, პირობითი რეფლექსური ქცევა თევზებში მეტად სუსტი და არამდგრადია. ეს ძირითადად მდგომარეობს არა პირობითი რეფლექსთა გამომუშავების სიძელეში, არამედ მათ სწრაფად და ადვილად დარღვევაში. საკითხი იმის შესახებ, თუ თავის ტვინის რომელი ნაწილით უნდა ხორციელდებოდეს პირობითი ქცევა თევზებში, ჯერ კარგად არ არის გარკვეული. ნაწილი ავტორებისა [5, 8] თევზებში პირობითი რეფლექსთა გამომუშავების სუბსტრატად ნათხემს თვლის, ხოლო სხვა ავტორები ასეთ სუბსტრატად აღიარებენ როგორც ნათხემს, ასევე შეა და შეამდებარები ტვინს [4, 10, 11, 12]. ეს უკანასკნელი ავტორები ემყარებიან კაპერსის [11], სეპის [12] და სხვათა მორფოლოგიურ გამოკვლევებს, რაც შეეხება თავის ტვინის ქერქს, თევზებში იგი არ არის ჩამოყალიბებული და დიფერენცირებული.

(წარმოდგენილია 10. XI. 1968)

ადამიანთა და ცხოველთა
ფიზიოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. И. П. Павлов, Лекции о работе больших полушарий головного мозга, М.—Л., Госиздат, 1927.
2. Ю. П. Фролов, Русский физиол. журн., т. 9, № 1, 1926, стр. 113—121.
3. Ю. П. Фролов, Успехи современной биологии, т. 8, № 2, 1938, стр. 236—242.
4. Ю. А. Холодов, Нервные механизмы условно-рефлекторной деятельности, М., 1963.
5. Г. А. Малюкина, Материалы к физиологии анализатора боковой линии рыб, автореферат дисс., М., 1955.



6. А. И. Карамян, Эволюция мозжечка и больших полушарий головного мозга, Л.—М., Медгиз, 1956.
7. а. б. զ յ հ օ ֆ ա թ զ օ լ ո—ե յ ր ե մ լ լ օ ս բ ս փ ո վ ա լ ո ւ թ ա շ ա տ վ օ ս . Ծ ո լ ո վ օ ս , 1929.
8. 5. ձ յ ծ լ ր ո թ զ օ լ ո , 5. ք ո ջ ո ն ս ծ յ — օ . ձ յ ր ի գ ա թ զ օ լ ո ւ թ ա շ ա տ վ օ ս . Հ ո ն ծ ո լ լ . ս բ - գ օ ս թ ր ո մ յ ծ օ , 2 , 1936, 83. 127—137.
9. И. С. Беритов, Индивидуально приобретенная деятельность центральной нервной системы, Тифлис, 1932.
10. К. М. Быков, Кора головного мозга и внутренние органы, М.—Л., Медгиз, 1952.
11. С. У. А. Kappers, G. C. Huber, E. C. Crosby, The comparative anatomy of the nervous system of vertebrates, including man, New-York, 1960.
12. Е. К. Сепп, История развития нервной системы позвоночных, М., Медгиз, 1949.

Н. И. СИХАРУЛИДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ ПОВЕДЕНИЯ РЫБ

(Резюме)

Основная задача заключалась в изучении поведения рыб. Мы пытались выяснить, как быстро создается образ нового местонахождения пищи и электрического раздражителя у рыб, как долго он сохраняется после восприятия пищи и электрического раздражителя и каково его значение в поведении рыб.

Опыты проведены на 10 золотых рыбках. В процессе работы мы убедились, что ставить опыты на двух рыбах было целесообразнее, чем на одной.

В отличие от млекопитающих, рыбы трудно привыкают к новой обстановке. Поэтому в первые дни опытов у рыб резко были выявлены и сравнительно долго сохранялись реакции страха. Реакции страха выявлялись на всякое необычное раздражение (на плеск воды, открытие клетки, шум и т. д.).

Из экспериментов было видно, что, если рыбам перегородить место-нахождение пищи препятствием (маленькой дощечкой), то они подплывают близко к препятствию, но быстро поворачивают назад. Затем они снова подплывают к перегородке, как бы обнюхивают её, всплывают на поверхность воды, стараются переплыть перегородку и вновь возвращаются назад. Такие реакции делятся приблизительно 8"—10". Судя по этим реакциям, можно предполагать, что у рыб в течение 9"—10" сохраняется образ местонахождения пищи.

В другой серии опытов изучалось поведение рыб при действии электрического раздражителя. Мы намеревались выяснить, как долго сохранялся у рыб образ местонахождения электрического раздражителя. После получения электрического раздражения рыбы не подплывали к местонахождению пищи в течение 10". Поэтому можно считать, что в



продолжение этого времени у рыб сохраняется образ местонахождения электрического раздражителя.

Как было видно из наших опытов, образ местонахождения электрического раздражителя у рыб сохранялся дольше, чем образ местонахождения пищи.

В следующей серии опытов нами было изучено условно-рефлекторное пищевое поведение на световое раздражение. Условные рефлексы у рыб вырабатываются сравнительно легко; но, вообще, условно-рефлекторное поведение рыб весьма неустойчиво. Это выявляется не только в затруднении выработки условных рефлексов, но и быстром нарушении их.

სიმიდის რიზოსფეროდან გამოყოფილი აზოტობაზორის ეტაპოლიტიზის მოქმედება სიმიდიზე და ლობიოზე

ქ. ცხაძეი, ნ. ჭიქაშვილი

ნ. კრასილნიკოვს [1] მოცემული აქვს საინტერესო ცნობები უმაღლეს მცენარეებზე მიკროორგანიზმების მეტაბოლიტების მოქმედების შესახებ. აეტორის მრავალრიცხვოვან ცდებში გამოყენებული იყო აზოტობაქტერიც, რომლის მეტაბოლიზმის პროდუქტები საქმაოდ აქტიური აღმოჩნდა. ცდები ტარდებოდა იზოლირებულ ფესვებზე და აღმონაცენებზე. სხვადასხვა მცენარის ფესვები განსხვავებულად რეაგირებდა ერთი და იმავე მიკრობული კულტურის ფილტრატზე. დადებითი მოქმედება მეტწილად მცირე დოზების დროს იყო. თესლების გაღივებაზე ჩატარებულ ცდებში ანალოგიური შედეგი იქნა მიღებული. ზოგიერთი მიკროორგანიზმის ფილტრატი თესლების გაღივებას თვალსაჩინოდ იდიდებდა, ზოგისა ან არაგითარ გავლენას არ ახდენდა, ან თრაგუნავდა კიდევაც გაღივებას. აღმონაცენების ზრდის აქტიურად აქაზარებდა აზოტობაქტერის ფილტრატები.

უურადღებას იძყრობს ტ. პოპოვას [2] მიერ დადგენილი კანონზომიერებანი ვაზის ზრდა-განვითარებაზე მისივე ფესვებიდნ გამოყოფილი მიკროფლორის გავლენაზე. ბაქტერიების კულტურის დადებითი მოქმედება გამოვლინდა ვაზის როგორც კალმებზე, ასევე თესლის გაღივებასა და აღმონაცენების ზრდაზე.

უკანასკნელ ხანებში დიდი უურადღება ექცევა უმაღლეს მცენარეებზე ნიადაგის მიკროორგანიზმების დადებითი მოქმედების მექანიზმის გარკვევას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მიკროორგანიზმების მეტაბოლიტებში ვიტამინებისა და ზრდის მაქტივირებელ ნივთიერებათა თანაპოვნიერებას. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს მცენარეებს ვიტამინების სინთეზის უნარი გააჩნია, მათი გარედან მიწოდება დადგებათად მოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე. ი. დაგისმა [3] *B₁* და *PP* ვიტამინებით დაამუშავა ლობითს თესლები, რამაც გამოიწვა ზრდის გაძლიერება და მოსავლიანობის მომატება. საყურადღებოა ა. გებგარდტისა [4], ა. გებგარდტისა და ა. კოვალჩუკის [5] შრომები. გებგარდტის [4] მიერ შესწავლილი იყო აზოტობაქტერის და თავმინის შედარებითი მოქმედება მცენარეთა აღმონაცენებზე. ავტორის მიხედვით, სხვადასხვა მცენარის თესლების აზოტობაქტერით ინოკულაციამ ხელი შეუწყო ნიადაგში თავმინის დაგროვებას, რამაც თავის მხრივ მცენარეთა მიერ ნიადაგიდან აზოტის შეთვისება გააძლიერა. ა. გებგარდტისა და ა. კოვალჩუკის [5] მიერ ჩატარებული მუშაობით დადგენილია აზოტობაქტერის დადებითი გავლენა ნიადაგში და შერის აღმონაცენებში ვიტამინების შემცველობაზე.

უმაღლეს მცენარეთა და ნიაღაის მიკროორგანიზმების ურთიერთობის უძრავი განვიტანობას ვიტამინების დიდ მნიშვნელობას აღასტურებს ლ. პოლიანსკაიას, ა. ნონიანისა და კ. ოვჩაროვის შრამა [6].

ე. რატენისა და ი. დობროხოსტოვას [7] სათანადო ცდებით ნაჩენებია, რომ მცენარეს შეუძლია ვიტამინების მიღება მიკროორგანიზმებისაგან.

ა. ობრაზცოვას, მ. პეტრენკოს და მ. კლიშევსკაიას [8] მიერ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა რიზოსფეროში აღმოჩენილია აქტივატორი ბაქტერიები, რომელთა მოქმედებით უმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის და კარტოფილის ტუბერის გაღივება და აგრეთვე ახალგაზრდა მცენარის ზრდა და განვითარება. მათივე მონაცემებით დადგენილია, რომ აქტივატორი ბაქტერიები წარმოქმნიან ბიოტიკურ ნივთიერებებს—ვიტამინებს, რომელთა შეთვისების შედეგად მათი შემცველობა მცენარის ორგანიზმში მატულობს.

ლ. რუბენიქივის [9] მონაცემებით აზოტობაქტერის შტამები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც „ბოტსი“ წარმოქმნის ინტენსიურობით, ისე უფრედში და სუბსტრატში მისი განაშილების ხარისხით. Az. chroococcum-ის უმეტეს შტამებში ჰყებროაუქსინის წარმოქმნის უდიდესი რაოდენობა აღმოჩნდა ათღლიან კულტურაში. 20 დღე-ლამის კულტურებში ზოგიერთ შტამში ამ ნივთიერების შემცველობამ დაიყლო.

ა. გებგარდტის, მ. რიპეცის და გ. შტეინბერგის [10] მონაცემებით აუქსოავტოტროფული მიკროორგანიზმები ნიაღაგში გამოყოფს ვიტამინებს. ეს ვიტამინები ნიაღავიდან შთანთქმება ფესვებით და მცენარის მიერ შეთვისებული გროვდება მის როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა ორგანოებში.

მცენარის მიერ გარედან შეთვისებული ვიტამინები ემატება მის მიერ სინთეზირებულს, რის შედეგად ვიტამინების საერთო შემცველობა მატულობს. თუ როგორი შეფარდებაა მათ შორის ჯერ-ჯერობით ამის თქმა არ შევიძლია. არც ისაა გარკვეული, რა გარდა ქმნებს განიცდის მცენარეში გარედან შეთვისებული ვიტამინები. საფიქრებელია, რომ ისნი მონაწილეობენ საერთო ნივთიერებათა ცვლაში და იმავე დროს მასტიმულირებლადაც მოქმედებენ.

მიკროორგანიზმებს გააჩნია ზრდის მასტიმულირებელი ნივთიერებების სინთეზირების უნარი. ლ. კუპრინას მიერ [11] ნაჩენებია აზოტობაქტერის სხვადასხვა შტამის მიერ ჰყებროაუქსინის წარმოშობის თვისება. ავტორს გამოყენებული ჰქონდა ქრომატოგრაფიული მეთოდი. ვ. სმალიმ და ო. ბერშოვამ [12] კოლეოპტილეს გამოყენების მეთოდით დაადგინეს, რომ ეშბის აგარზე აზოტობაქტერის გაზრდით ჰყებროაუქსინი მიკრობიდან მნიშვნელოვნი რაოდენობით გადადის სუბსტრატში. Az. chroococcum-ის სხვადასხვა შტამი ჰყებროაუქსინის წარმოქმნის უნარით ერთმანეთისაგან განსხვავდება.

ამრიგად, ლიტერატურული მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ აზოტობაქტერის როლი მისი აზოტომაფიქსირებელი თვისებით არ ამოიწურება. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცენარისათვის ვიტამინებისა და ზრდის მასტიმულირებელი ნივთიერებების მიწოდებაში.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია, როგორ მოქმედებს ერთი რომელიმე მცენარის რიზოსფეროლდან გამოყოფილი აზოტობაქტერის მეტაბოლიტები როგორც იმავე, ისე სხვა მცენარეში მიმღინარე ზოგიერთ ბიოქიმიურ-ფიზიოლოგიურ პროცესზე. ამ საკითხზე ჩვენ მიერ ჩატარებულია გარკვეული მუშაობა [13, 14].

ამჯრად შევჩერდებით რამდენიმე საკითხზე. სიმინდ „ქართული კრუგის“ რიზოსფერობან გამოყოფილი აზოტობაქტერის ზოგიერთი ადგილობრივი შტამის კულტურალური სითხის (ფილტრატის სახით) გამოყენებით შესწავლილია სიმინდის იმავე ჯიშის მარცვლის გალივების ენერგია და გალივების პროცენტი, სიმინდისა და ლობიოს ღივებში დამჯინველ ფერმენტთა (კატალაზა, პეროქსიდაზა და პოლიფენოლოქსიდაზა) აქტიურობა; აღმონაცენებში ზრდის მააქტივებელი ნივთიერებათა თანაპონიერება; B_1 , B_2 და C ვიტამინების შემცველობა და აზოტობაქტერის შტამების მცნაწურისადმი რეაგირება.

კულტურალური სითხის მისაღებად ეშბის თხიერ არეში ვთესავდით სიმინდის რიზოსფერობან ჩვენ მიერ [14] გამოყოფილ აზოტობაქტერის ადგილობრივ შტამებს. 10-დღიანი კულტურის კულტურალური სითხით გამუშავებდით სიმინდი „ქართული კრუგის“ თესლებს 10 საათის განმავლობაში. საკონტროლოდ აღმული გვერდა ჰეტეროაუქსინის კალიუმის მარილის 0,03%-ნი ხსნარი. ზრდის მასტიმულირებელი მოქმედების გასარკვევად ამავე ნივთიერებებით ვამუშავებდით ლობიოს (ჯიში ინდური წითელი) 10-დღიან აღმონაცენებს, რომლებსაც ფესვებს ვაჭრიდით ფესვის ყელთან. გადანაჭერ ადგილებს 10 ს. განმავლობაში ვათავსებდით კულტურალურ სითხეში, შემდეგ ვავლებდით წყალს და 5—5 მცნარე გადაგვერდა 300 მლ მოცულობის ერლენმეირის კულაში, რომელშიც ჩასხმული იყო წყალსადენის წყალი. ცდა ტარდებოდა 4 განმეორებით. 20-დღიან აღმონაცენებში აღირიცხებოდა ფესვის, ღეროს და ფოთლის ზრდა.

აზოტობაქტერზე სხვადასხვა მცნარეული გამონაწურის მოქმედების გასარკვევად ვიღებდით სიმინდის ფოთლისა და ფესვის და ხორბლის ფოთლის წვენს. მათ მოქმედებას გამოწმებდით ჩვენ მიერ ადრე ჩატარებული კვლევით [14] საყურადღებოდ მიჩნეულ შტამებზე. აზოტობაქტერით დათესილი პეტრის ჯიმის სახურავის ცენტრალურ ნაწილში ვათავსებდით ფოთლისა და ფესვის გამონაწურსა დამაგნგველი ფერმენტებიდან კატალაზა განხსაზღვრეთ გაზომეტრული მეთოდით, პეროქსიდაზა ბაზისა და სბარსკის მეთოდით, პოლიფენოლოქსიდაზა მიხლინისა და ბრონვოიცკაიას მეთოდით [15]. ვიტამინები B_1 და B_2 დევიატინინის მეთოდით, ვიტამინი C ტილმანსის მოდიფიცირებული მეთოდით [16].

განვიხილოთ სიმინდის და ლობიოს თესლების გალივების ენერგია და პრო-

ცხრილი 1.

აზოტობაქტერის კულტურალური სითხით დამუშავების
გავლენა თესლის გაღივებაზე

№ № რიგზე	ვარიანტები	ლობიო		სიმინდი	
		გალივების ენერგია	გალივების პროცენტი	გალივების ენერგია	გალივების პროცენტი
1	საკონტროლ	59	71	36	86
2	აზოტობაქტერის ადგილობრივი შტა- მი № 58 დამუშ.	75	99	28	94
3	აზოტობაქტერის ადგილობრივი შტა- მი № 65 დამუშ.	92	100	38	96



ცენტრი აზოტობაქტერის ადგილობრივი № 58 და № 65 შტამების კულტურული სითხეში დამუშავების შედეგად. მონაცემები წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, აზოტობაქტერის კულტურალური სითხით თესლების დამუშავებისას მიღებულია თვალსაჩინო ეფექტი: საცდელ ვარიანტებში გადიდებულია როგორც გალივების ენერგია, ისე გალივების პროცენტი. განსაკუთრებით შეიმჩნევა ლობიოში, რომლის საკონტროლო ვარიანტის გალივების პროცენტი ძალიან დაბალი იყო. გალივების პროცენტი საკონტროლოში უდრიდა 71-ს, დამუშავებულ ვარიანტებში კი 99 და 100%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მაჩვენებელი როგორც ლობიოში, ისე სიმინდში განსაკუთრებით გაზრდილია აზოტობაქტერის ადგილობრივი № 65 შტამით დამუშავებისას.

ცნობილია, რომ დამუანგველ ფერმენტთა აქტიურობა წარმოადგენს მცენარეთა ცხოველმოქმედების მაჩვენებელს. ჩვენს ცდებში ყურადღება გავამახვილეთ აღნიშნულ მაჩვენებლებზე და საცდელ მცენარეთა ლივებში განსაზღვრული იქნა კატალაზის, პერიქსიდაზისა და პოლიფენოლოქსიდაზის აქტიურობა. მონაცემები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, რომ თესლების კულტურალური სითხით დამუშავების შედეგად ორივე მცენარის ლივებში გადიდებულია ფერმენტთა აქტიურობა საკონტროლოსთან შედარებით.

აზოტობაქტერის ადგილობრივი № 58 შტამით დამუშავებისას განსაკუთრებით მატულობს ფერმენტ პერიქსიდაზის აქტიურობა ლობიოს ლივებში, სადაც საკონტროლოსთან შედარებით გაზრდილია 6,0-ით, ხოლო სიმინდის შემთხვევაში 3,0-ით. ფერმენტ კატალაზის აქტიურობის მატება ლობიოს ლივებში უფრო თვალსაჩინოა აზოტობაქტერის № 65 შტამის მოქმედებით, ვიდრე № 58, სიმინდის ლივებში კი პირიქით, № 58 შტამის მოქმედება უფრო თვალსაჩინოა.

ცხრილი 2

აზოტობაქტერით თესლის დამუშავების გავლენა ღივებში დაშანველ
ფერმენტთა აქტიურობაზე

შედების ნომერი	მცენარე	ლობიო		სიმინდი	
		პერიქ- სიდაზა	პოლიფე- ნოლოქსი- დაზა	პერიქ- სიდაზა	პოლიფე- ნოლოქსი- დაზა
1	საკონტროლო	28,6	2,6	0,20	29,1
2	აზოტობაქტერის ადგილობრივი შტა- მი № 58 დამუშ.	29,7	8,6	0,50	30,1
3	აზოტობაქტერის ადგილობრივი შტა- მი № 65 დამუშ.	30,6	3,9	0,43	29,2

პოლიცენოლოგისიდაზის მატება მივიღეთ მხოლოდ ლობიოს ღვევეში აზო-
ტობაქტერის აღგილობრივი № 65 შტამით დამუშავებით. სიმინდის ღვევებში
პოლიცენოლოგისიდაზი არც საკონტროლოში და არც საცდელში არ გამოვლინდა.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ლობიოსა და სიმინდის ფესვთა სისტემის ზრდაზე განსაკუთრებით გავლენას აძლეს შტამი № 58. აღნიშნული შტამის დადგებით მოქმედების ეფექტი უფრო ძლიერ სიმინდზე შეიმჩნევა. ამ უკანასკნელის ფესვის სიგრძე საკონტროლოსთვის შედარებით გაღილებულია ორჯერ, ეს ნახატებიდანაც ჩანს.

3 b m o g m o 3.

აზოტობაქტერით თესლების დამუშავების გავლენა

აღმონაცენების გრდაცე (სმ-ით)

№ հաջ	Վարհանքեմի	Ը ռ ծ օ տ					Տ օ մ ո ւ ն դ ո	
		Հ յ ս ց	Ծ ա ր	Ե պ ո յ ո ւ թ	Ֆ է լ ո ւ գ ո ւ թ ի լ լ յ ա		Հ յ ս ց	Ծ ա ր
1	Սակոնքի շուլան	13,5	26,4	14,2	11,7	1,5	13,3	12,4
2	Գլցովոնձի մազ թիւ- թի Ն 68 դամբութե- ացի շուլան	18,6	31,6	16,6	13,3	1,9	27,9	16,9
3	Գլցովոնձի մազ թիւ- թի Ն 65 դամբութե- ացի շուլան	14,7	30,9	15,8	13,1	1,9	19,7	16,2

ლობიოს აღმნიაცენებში ბაქტერიზაციის შედეგად გაზრდილია როგორც ღერის საერთო, პიპოკოტილება და ეპიკოტილება სიგრძე. გადიდებულია აგრეთვე პიპოკოტილება სიმსხო საკონტროლოსთან შედარებით. აღგილი აქვს აგრეთვე აზოტომაცეტერის ადგილობრივი № 58 და № 65 შტამპებით დამუშავებული თესლით. მითიბოლო სიმინის თოთლების სიგრძის მატებას.

საცდელი ვარიანტების ღივებში შევისწავლეთ, როგორ გავლენას ახდენდა სიმინდის თესლების აზოტობაქტერიო ღამუშავება B_1 , B_2 და C ვიტამინების შემცველობზე.

მოიძულობ მონაცემები წარმოდგენილია მე-4 კხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თესლების დამუშავება გავლენას ახდენს ღივებ-ში ვიტამინების (B_1 , B_2 და C) შემცველობაზე. გავლენა განსაკუთრებით თვალ-საჩინოდ მცლავნდება სიმინდის ღივებში, რომლებიც საკონტროლოშიაც მეტი რაოდენობით შეიცავს B_1 , B_2 ვიტამინს, ვიღრე ლობიოს ღივები. ლობიოს საკონტროლო ღივებში B_2 ვიტამინი სულ არ აღინიშნა, ხოლო ბაქტერიზაციის გავლენით აღ მოჩენილ იქნა ნიშნები.

თესლების თესვისწინა ბაქტერიზაციამ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა 0

აზოტობაქტერით თესლების დამუშავების გავლენა ღივებში
ვიტამინების შემცველობაზე (8%)

ნებ ნი	მცენარე ვიტამინი	ლ თ ბ ი თ			ს ი მ ი ნ დ ი		
		B ₁	B ₂	C	B ₁	B ₂	C
1	საქონტროლო	0,88	0	30,98	1,25	0,03	11,13
2	ადგილობრივი შტა- მი № 58 დამუშა- ვებული	0,94	ნაშ.	43,08	1,50	0,19	11,62
3	ადგილობრივი შტა- მი № 65 დამუშა- ვებული	0,82	"	42,59	1,50	0,25	15,27

